წლიწადი მერვე

საქართველო უწინარეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
ოქტომბერი-დეკემბერი 1933 წელი
№ 69-70-71

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction: 18, rue Olier. Paris XV^e.

Paris
octobre-décembre 1933
№ 69-70-71

რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur: M. TSERETHELI

## მიზეზები მარქსიზმის დამარცხებისა და საქართველოს მომავალი

მარქსიზმი საბოლოოდ დამარცხდა. მომაკვდავი, იგი გადის ცხოვრების ასპარეზითგან.

აქ მომყავს ორ მიზეზთაგანი მარქსიზმის დამარცხებისა.

პ ი რ ვ ე ლ ი . მარქსიზმის რწმენით ცხოვრების პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება საკაცობრიო პლანზედ უნდა განვითარებულიყო. შერჩეულ დროს, საერთაშორისოდ დარაზმულ მუშათა კლასს, რევოლიუციის საშუალებით, ხელის უფლება უნდა მოეხვეჭა, დაემყარებინა პროლეტარიატის დიქტატურა და განეხორციელებინა კომუნიზმი. ესაა მარქსიზმის სოციალური რევოლიუცია. ხოლო ცხოვრებამ თავის ბუნებრივ-ეროვნულ გზას არ გადაუხვია და თანდათანობითი განვითარებით დღევანდელ ინტეგრალურ ნაციონალიზმს მიაღწია.

ნაციონალიზმი და მარქსიზმი ერთმანეთს დაუპირდაპირდენ. რასაკვირველია, ნაციონალიზმმა დაამარცხა და მოსპო მარქსიზმი და მისი წარმომშობი წყარო — დემოკრატიზმიც.

მარქსიზმის ასეთი ადვილი დამარცხება შემდეგით იხსნება:

მარქსიზმის ნიადაგი კაცობრიობაა, ხოლო კაცობრიობა არ შეიცავს რაიმე სინამდვილეს და არის მხოლოდ განყენებული ნაყოფი განყენებული წარმოდგენისა.

ინტეგრალური ნაციონალიზმის ნიადაგი კი არის ერი, ე. ი. ცხოვრების უძლიერესი სინამდვილე; დასაბამი და ცხოველმყოფელი ყოველი აღმშენებლობითი შემოქმედებისა; თვით მომქმედი და თვით მიზანი.

გამოვიდა რა მარქსიზმი ფიქტიური დებულებითგან, რასაკვირველია ყალბ დასკვნებამდე მივიდა და ხელოვნურად შექმნილი მიზნები დაისახა. ამ ფიქციებზედაა აგებული მთელი სტრუქტურა მარქსიზმისა, რომელსაც მარქსისტები « მეცნიერულ სოციალიზმს » უწოდებენ.

ხოლო ინტეგრალური ნაციონალიზმი გამოდის რეალური დებულებებითგან და მით ისახავს რეალურ და საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნებს.

მარქსიზმმა მოისურვა კაცობრიობის გაერთფეროვნება და მით იგი წავიდა ბუნების გარდუვალი კანონების წინააღმდეგ, რომელნიც განაგებენ არსებობის ორ მთავარ დასაწყისს: ბიოლოგიურ და სოციალურ ევოლუციას. ხოლო ეს კანონები გამოიხატებიან დიფერენციაციაში, ე.ი. გადარჩევაში, და არა ერთფეროვანებაში, არა გაერთგვარებაში. იგი წავიდა ცივილიზაციის წინააღმდეგაც, რათგან ცივილიზაცია წარმოუდგენელია გარეშე რთული დიფერენციაციისა. ამიტომაც მარქსიზმის განხორციელების თვით მცირე ცდასაც კი შედეგად ყველგან ცივილიზაციის ნგრევა და ზარალი მოჰყვა.

მარქსიზმმა უარჰყო ერი. იგი გამოაცხადა განსაზღვრულ კლასების მიერ ხელოვნურად და განზრახ შექმნილ მავნე ფაქტორად. ამით იგი არა მხოლოდ ცხოვრების სინამდვილის გარეშე დადგა, არამედ აღიმართა საზოგადოების მავნე და მტრულ ძალად. რათგან ერის გარეშე არ არსებობს ადამიანთა ცხოვრება. თვით პირველ ყოფილ ადამიანთა უმცირესი ჯგუფიც კი, პირველივე ოჯახი ველურთა უკვე ერის ჩანასახია და საზოგადოების ევოლუცია მიმდინარეობს ხალხთა ეროვნულ ჩამოყალიბებასთან ერთად. რამდენადაც ნაკლებადაა გამოხატული, გამოქანდაკებული ამა თუ იმ საზოგადოების ეროვნული სახე, იმდენად მდაბალია მისი ცივილიზაცია. ამის მაგალითები არიან რუსები, ზანგები, პატაგონიის ველურები და სხვა. ადამიანთა ცხოვრება მჟღავნდება მხოლოდ ერის მოქმედებაში და შემოქმედებაში.

მარქსიზმმა უარჰყო ეს სინამდვილენი, შეებრძოლა ერს და დამარცხდა. ამნაირად, საბოლოოდ დაემხო უტოპიური და მავნე ინტერნაციონალური სოციალიზმი. მაგრამ სამაგიეროდ მყარდება ეროვნული სოციალიზმი. მყარდება სოციალიზმი საღად შეგნებული და რეალურ ნიადაგზედ აგებული. ამ ეროვნულ სოციალიზმს ახორციელებს ფაშიზმი ეროვნულ წიაღში, ეროვნულ ელემენტთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობაში. ამავე ეროვნულ სოციალიზმს განახორციელებს თეთრი გიორგი საქართველოში.

მ ე ო რ ე . მარქსიზმს ღრმადა სწამდა სოციალური რევოლუციის შესაძლებლობა, ხოლო სწორედ ამაში მდგომარეობს დიდი შეცდომა, როგორც მარქსიზმისა, აგრედვე ყველა სოციალისტურ რევოლუციონური მოძღვრებებისა.

თუ რევოლუციას ვიგულისხმებთ მისი ნამდვილი შინაარსით, ე. ი. როგორც აღმშენებლობით ფაქტორს და არა როგორც გამანადგურებელს, ამ შემთხვევაში მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისტორიაში სოციალურ რევოლუციას არასდროს არა ჰქონია ადგილი. შესაძლებელია პოლიტიკური რევოლუცია. მაგრამ არასდროს სოციალური. არსებობს სოციალური ევოლუციის ყოველ წუთიერ გარდაქმნათა პროცესი. სოციალური ცხოვრების ყოველი მხარე თანდათანობით იღებს ახალ სახეს. დგება წუთი, როდესაც საჭიროა ცხოვრების განახლებულ შინაარსს ახალი ფორმები მიენიჭოს, მისი ორგანიზაციის ახალი ინსტიტუტები შეიქმნენ. მაშინ ერის წიაღითგან წამოიჭრებიან ხოლმე ეროვნული ძალები, რომელნიც ამ მიზანს ახორციელებენ. ეს ეროვნული ძალები ანადგურებენ ხოლმე საზოგადოებაში დაგროვილ მავნე ელემენტებს, სნეულ რწმენათ და იწყება ახალი პერიოდი ერის ისტორიისა, განახლებული და გადახალისებული ეროვნული ცივილიზაციის ახალი ხანა. ჩვენ მოწმენი ვართ ამგვარი მოვლენისა. დღეს ფაშიზმი, ე. ი. ინტეგრალური ნაციონალიზმი, იგივე ეროვნული სოციალიზმი, ჰქმნის და აყალიბებს გადახალისებული ცხოვრების ახალ ფორმებს: დიდი ავტორიტეტით აღჭურვილი სახელმწიფო, რეალური წარმომადგენლობა, კორპორატიული ორგანიზაცია და სხვა.

ხოლო მარქსიზმმა მოისურვა სოციალური რევოლუციის მიღწევა, განსახორციელებლად უტოპიური თეორიებისა. ეს გახლავთ მეორე მიზანი მარქსიზმის დამარცხებისა.

ისმის ქართველთათვის საგულისხმიერო საკითხი: რა წყობილება დამყარდება მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში? გაზ. „ თ. გ. " ყოველთვის სისწორით გასჭვრიტა და გამოიცნო მომავალი და შეგვიძლია დავარწმუნოთ მკითხველი, რომ არც ქვემორე აღნიშნულში შევცდებით.

ახლო მომავალში მთელი ევროპა ინტეგრალური ნაციონალიზმის, ე. ი. ფაშისტური პრინციპების ნიადაგზედ დამყარდება. ეს აუცილებელია, რათგან შინაარსი ახალი ცივილიზაციისა, რომელიც ევროპაში, და სხვაგანაც, მყარდება, ფაშისტურია.

ფაშიზმმა მოსპო კომუნიზმი ევროპაში და მით წელში გასტეხა თვით რუსული ბოლშევიზმიც. ამიერითგან რუსეთის ბოლშევიზმის დღეები დათვლილია. იგი მალე დაემხობა. საქართველო განთავისუფლდება. დამოუკიდებელ საქართველოში დამყარდება თეთრი-გიორგული წყობილება. იმიტომ რომ, ამ დროს კულტუროსანი კაცობრიობა ფაშისტური იქმნება. ხოლო განა წარმოსადგენია, რომ კულტუროსან მსოფლიოში საქართველომ დაამყაროს ან დემოკრატიული ან მარქსისტული წყობილება? არა რასაკვირველია, და ქართველი ხალხი არც მოინდომებს განათლებულ ხალხთაგან გადამიჯვნას.

მომავალი დამოუკიდებელი საქართველო თეთრ-გიორგული იქმნება.

ლეო კერესელიძე.

ბოლო ხანებში პარიზში გარდაიცვალა სამი ქართველი: **1. ვ. ყაუხჩიშვილი, 2. ნ. ნასიძე** და **3.** ახალგაზრდა **რ. კალაძე.**

## ფაშიზმის ეკონომიური საკითხი

ფაშიზმი მეფისა და მოქალაქის მოთხოვნილებას თანაბარად აკმაყოფილებს. ეს არის ერთად ერთი საშუალება, რომ საზოგადოებრივი წონასწორობა შეიქმნას და კლასთა უთანხმოებას ბოლო მოეღოს. არსებულმა დემოკრატიულმა თუ კომუნისტურმა სისტემებმა ვერ გადასწყვიტეს საზოგადოებრივი საკითხი კულტურული სარგებლიანობის თვალსაზრისით, წინააღმდეგ, კლასთა ბრძოლა უფრო გააღრმავეს. მუშათა კლასის მდგომარეობა დემოკრატიულ თუ კომუნისტურ ქვეყნებში უმდაბლეს საფეხურზედა სდგას, თუმცა ერთსაცა და მეორესაც უდიდესი საკაცობრიო პრინციპები უპყრიათ ხელში: დემოკრატიზმის ძმობა-ერთობა-თავისუფლება სისულელედ გარდაიქცა და წაერთვა რეალური მნიშვნელობა.

თუ წინად დემოკრატიზმზედ, სოციალიზმზედ და კომუნიზმზედ იდეალურად ოცნებობდენ, და საზოგადოებრივი ცხოვრების გადახალისებით აღთქმის ქვეყანას ჰპირდებოდენ ხალხს, დღეს ეს ოცნება სინამდვილემ მათ ცხადად დაანახა. თანამედროვე ხანამ ეს მოჩვენებათა გუნდიც გაჰფანტა. დაუჯერებელიც კია, არსებობდეს დღეს ისეთი პიროვნება, რომელსაც დემოკრატიზმ - სოციალიზმი კვლავ სწამდეს და სინამდვილისათვის ზურგი ჰქონდეს შექცეული.

მუშის ეკონომიურ - მორალური მდგომარეობა სოციოლოგების ყურადღებას დიდი ხანია რაც იპყრობდა, ხოლო აქ უძნელეს საკითხის გადაწყვეტა მათ ძალას ყოველთვის აღემატებოდა. თეორიული დასაბუთებანი და სისტემათა მთელი წყებანი შეითხზა. ხოლო თეორიებმა ვერ მოუტანეს სარგებლობა საზოგადოებას. ძველი დემოკრატიული სისტემა თავს არ იტეხდა რაიმე ახალი საშუალების გამონახვით საზოგადოებრივ საკითხისათვის მოევლო. საჭირო გახდა დემოკრატიული სისტემის დარღვევა და ახალი სინამდვილის შექმნა, რომელიც დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებას ზედმიწევნით უპასუხებდა. ეს როლი ფაშიზმმა შესძლო.

ფაშიზმი სახელმწიფო მმართველობის სრულ-ყოფილი ფორმაა და ეროვნულ შემოქმედებას წინ უძღვის ვით უქრობელი ჩირაღდანი.

ირღვევა დემოკრატიული პარლამენტარიზმი, რომელიც სიცრუისა და ფიქციის დაწესებულება არის. პარლამენტი უკვე ერის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და არც ხალხის ნებისყოფა არის წარმოდგენილი დემოკრატიულ პარლამენტში, თუმცა კი მათი პორთფელების სახელწოდება განსაკუთრებულ მიზნით მიიმართება, ე. წ. « დიდ ინტერესებისაკენ ». რას წარმოადგენს ნამდვილად პარლამენტი? პარლამენტარული პრინციპით პარტიულმა უმრავლესობამ უნდა მართოს ქვეყანა, ნამდვილად კი პარლამენტში არავინ არის პასუხისმგებელი და ქვეყნის ბედი ყოველთვის პარტიულ, კერძო ინტერესებს ეწირება, რაც ერს ეკონომიურად და მორალურადაც მალიან ძვირი უჯდება. ფაშიზმის პრინციპით კი სახელმწიფოს მთლიანი სახე აქვს და პასუხისმგებელი პიროვნებაც ცხადადა ჰყავს გამოხატული. დიდი მნიშვნელობისაა პიროვნება, რომელიც ერის ბელადად ითვლება და ქვეყნის მომავალი მასზედ არის დამოკიდებულ-დამყარებული. დღეს პიროვნული მმართველობის იდეა არის პრინციპი აწმყოსი და მომავლის; დღევანდელი პარლამენტი კი სავსებით განწირულია.

ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში იტალია მსოფლიოს ყურადღებას იქცევს, იმით რომ საინტერესო მიღწევები აქვს ეკონომიურ სფეროში. ახალმა მთავრობამ მყარი საფუძველი მისცა ეკონომიურ სისტემას, რომელიც სავსებით განსხვავდება ლიბერალურ კაპიტალიზმის და სოციალისტურ სახელმწიფოს ფორმისაგან. ეს ახალი მიღწევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად შესცვლის კაცობრიობის ეკონომიურ-სოციალურ-პოლიტიკურ განვითარების მსვლელობას. ფაშისტური სისტემა, თუ გნებავთ, საშუალო გზაა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის. ეს მუსოლინის მიერ გაკვალებული მესამე გზა — უკეთესია.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ფაშიზმს დემოკრატიული მეზობელი სახელმწიფოები კარგი თვალით არ უცქერიან, შეიძლება აღინიშნოს, რომ მთელ სახელმწიფოებში არსებული მოძრაობა ერთგვარ, ზომიერ ეკონომიურ სისტემისაკენ მიმართული, სხვა არა არის რა, თავისი ფორმით თუ შინაარსით, ის რასაც ფაშიზმი ეწოდება და მას რასაც ფაშიზმი ახორციელებს. ყველა ეს თანდათანობითი გადასვლა ახალ ეკონომიურ სისტემაში გულისხმობს ფაშიზმის კორპორატიულ შენობას. კორპორაციის მთავარი მიზან

...კი ამას ახალი გეგმის მომზადება პროდუქციისათვის და განსაზღვრა მომხმარებლისა მოთხოვნილებასთან შეფარდებული, რომ შეუძლებელი იყოს მიწოდება-მოთხოვნილების ეს ახალი სისტემა, ლიბერალური სისტემის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის, რაც დამზადებისა და მოთხოვნილების წესრიგში სწერია: მიუშვი თავის ნებაზედ თვითი საქმე თვითონვე მოაგვარონ.

ეკონომიური წონასწორობის დროს, აგრეთვე სრული წონასწორობის ან გარდამავალ ვითარების დროს, ლიბერალური სისტემა ცუდად მუშაობს. უწონასწორობის პერიოდში, სწრაფი პროგრესისაა ის თუ მოულოდნელ რეგრესით გამოწვეული, ლიბერალიზმის სისუსტე ცხადად გამოაშკარავდება ხოლმე. ე. წ. «ავტომატიურ» სისტემაში მოყვანილ პროდუქციის მოულოდნელ გადვლის დროს, ნელი პროცესით და სიმძიმით მიმდინარეობს. ფაშიზმის ეკონომიური სისტემის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამოკლებს და აადვილებს წესში მოყვანილ პროცესს «გარდამავალი პერიოდისა», რომელიც კრიზისის პერიოდია და ამცირებს მის დიდ და მნიშვნელოვან ნაწილს. კორპორატიული სისტემით, კაპიტალი და მუშაკი, ფასი ნარდად აღებული თუ ნაწილობრივი და ცხოვრების დირებულება, შეიძლება უფრო ადვილად შეთანაწყობდეს, ვიდრე მეკრიტიულ ქვეყანაში სადაც მთავარი ეკონომიური საკითხი თავის ნებაზედ არის მიგდებული. ყველა ამ ეკონომიურ ნაკლულოვანების შევსება შესაძლებელია იქ, სადაც მიღწეულია ზომა ამის საწინააღმდეგო, რაც ნიშნავს. — მოკავშირე და გამოიყენოს ეს შემოქმედი ძალები ამის განსაზღვრულებლად კი საჭიროა, რომ კაპიტალისა და შრომის შორის თანხმობა დამყარდეს.

მუსოლინი პირველი დაუპირისპირდა სოციალისტებსა და კომუნისტებს ებრძოდა არა იმიტომ რომ ისინი მშრომელი კლასის მტრები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ სოციალისტები და კომუნისტები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მათი სისტემა უკეთესია სხვა სისტემებზე. არავის შეუძლია გაიგოს და მიუხვდეს მუსოლინის აზრს ან ფაშიზმის არსებით მხარეს, თუ არ შეიცნოს ეს მთავარი საფუძველი.

ათი წლის წინად იყვნენ ისეთი დიდი ინდუსტრიის რეაქციონურად განწყობილი მეპატრონეები, რომელნიც ფიქრობდნენ: «მუსოლინი ჩვენი კაცია, მისი მმართველობა ჩვენი სასარგებლო იქნება» - ო. სინამდვილეში მუსოლინის მთავრობამ მოიმაგრა თუ არა ფეხი იტალიაში, მაშინვე შეუდგა მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. არ გასულა დიდი ხანი და ზოგიერთი დიდი ინდუსტრიის მეპატრონენი, რომელნიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი მთავრობა მათ სასარგებლოდ მუშაობს, გოლოს გაუცრუვდათ ზმანება, რომ მუსოლინი «მათი კაცი» არ გამოდგა. დიდი დრო კი დასჭირდა მუშების შეგნებას, რომ დუჩე მათთვის არის მოვლენილი. ხოლო ფაშიზმის ათი წლის შემდეგ კი ნათლად დაინახეს და საკსებით მიენდვნენ ახალ, მათთვის შექმნილ მთავრობას. დღეს მილანისა და ტურინის მუშები ისეთი აღფრთოვანებით ხვდებიან მუსოლინს, ამ ათი წლის თავზედ, რომ ეჭვს გარეშეა — მუსოლინმა მიაღწია მიზანს და სრული კავშირი დაამყარა მისსა და მშრომელ კლასს შორის.

10-9-1933. ბექან გიორგაძე

ვილა სან-პასტორე.

# განმარტებანი

## ჩემს ძველ მეგობრებს

### IV

მემარცხენეობა და მემარჯვენეობა. აქამდე ყველა ქვეყნების პარტიათა შორის გაბატონებული იყო ეს ორი სახელწოდება. პირველ სახელწოდებას ატარებდნენ ის პარტიები, რომელნიც პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რეჟიმის მოთხოვნაში ყველაზედ შორს მიდიოდნენ. მაგალითად, მეფისტებსა და რესპუბლიკანელებს შორის, პირველნი იქნებოდნენ მემარჯვენეებად და მეორენი მემარცხენეებად; ხოლო თუ რესპუბლიკანელებს დავუპირისპირებთ ანარქისტებს, მაშინ პირველნი მეორის მიმართ იქნებიან მემარჯვენენი. ასევე კონსერვატორების მიმართ ლიბერალები იწოდებიან მემარცხენეებად, ხოლო სოციალისტების მიმართ იქცევიან მემარჯვენეებად. აქეთგან ცხადია, მემარცხენე-მემარჯვენეებად კლასიფიკაცია პარტიისა არის მხოლოდ შედარებითი. ყოველ მათგანს მემარჯვენე ან მემარცხენე შეიძლება ეწოდოს იმის მიხედვით, თუ მოცემულ პირობებში რომელ პარტიას ვუპირისპირებთ მას. ამგვარად მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის ცნებანი კონკრეტულ სახეს ღებულობენ მხოლოდ ორ რომელიმე პარტიის დაპირისპირების დროს.

ყველა პარტიათა ორად დაჯგუფება — მემარცხენე-მემარჯვენეებად, შეიძლება მხოლოდ მათი ზოგადი ნიშნების მიხედვით, რაც აგრეთვე შედარებითია. მაგალითად, გვაქვს შემდეგი პარტიები: კონსერვატიული, ლიბერალური, სოციალისტური და კომუნისტური. ამ შემთხვევაში ორ უკანასკნელს აღიარებენ მემარცხენეებად, პირველ ორს კი მემარჯვენეებად. ასევე თითოეულ ნაწილში ცალ-ცალკე მაინც რჩება მემარჯვენეობისა და მემარცხენეობის პრინციპი. აქეთგან დაასკვნიან ორგვარ საერთო დასახელებას «მემარცხენე» - «მემარჯვენეებისა».

ამ ცნებათა ისტორიული წარმოშობა ასეთია:

1789 წ., როდესაც შეიკრიბა საფრანგეთის ნაციონალური კრებულება კონსტიტუციის შესადგენად, მაშინ კრებულება გაიყო ორ ნაწილად: მონარქისტებად და რესპუბლიკანელებად. პირველნი შეიკრიბნენ დარბაზში თავმჯდომარის მარჯვენ მხარეზე, მეორენი მარცხნივ. აქეთგან წარმოიშვა ეს სახელწოდებები და მისი ტრადიცია საფრანგეთში და სხვაგანაც აქამდე გრძელდება. ინგლისში მან ცოტა სხვა სახე მიიღო მარჯვნივ მარცხნივ დაჯდომის წესი იცვლება ყოველი მთავრობის ცვლასთან ერთად. გაბატონებული მიმართულება ყოველთვის იკავებს მარჯვენა ადგილს, ოპოზიცია მარცხენას. საფრანგეთში კი იგივე რჩება და მაგალითად სოციალისტები მთავრობის გაკონტროლების დროსაც. ისევ მემარცხენეებად იწოდება მათი პარტია და ყოველთვის მარცხენა ადგილს იკავებს.

ამ ორ ცნება თან ერთად ბუნებრივი იყო, რომ ე. წ. «ცენტრიც» გაჩენილიყო, რომელიც შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ გამომხატველი იყოს, ორივეს ერთად, ან რაიმე საერთოს ზოგადი; პრაქტიკულად მის გამოსახატად გამოდგება «ჭაობ-ეკლექტიკობა», ხოლო იდეურად ისიც მსგავს კომპრომ. მიმდინარეობას წარმოადგენს, რომელიც აგრეთვე მხოლოდ ცალ მხრივ მიიმართება. (ნიუანსებზედ აღარას ვამბობთ.)

გავიდა დრო და ეს ცნებები დასცილდნენ პირველყოფილ მნიშვნელობას. რათგან თვით ცხოვრება იცვალა და სახელწოდებები კი იგივე დარჩენ. ამიტომ ჩვენმა დრომ ამ ორი ტერმინის ბატონობა ზედმეტი გახადა.აი რატომ. ჩვენ დრომდე, და განსაკუთრებით ომამდე, როდესაც ნაციონალიზმის აზროვნება დღევანდელი გაგებით ჯერ კიდევ არ აღსებობდა, მიმართულებათა დაჯგუფება კლასობრივ ინტერესთა მიხედვით კიდევ გასაგები იყო. მას შემდეგ კი,რაც დაიბადა ფაშიზმის დოქტრინა, ამ ტერმინების მნიშვნელობა გაჰქრა. რათგან მემარჯვენე - მემარცხენეობა ნიშნავს ერთიანი ცხოვრების ორად გაპობას, მის ცალ მხრივ ინტერესთა მიხედვით, და მაშასადამე ისინი ცალცალკე ვერასოდეს ვერ გამოხატავენ ერთ მთლიან ორგანიზმს, ერის თუ სახელმწიფოს მთლიან ინტერესებს, ვერც ერთი მათგანი ცალ-ცალკე ვერ ჩაიტევს მასზედ ვრცელს ეროვნულ ინტერესს. ხოლო ცნობილია, რომ ეროვნული ცხოვრება წარმოადგენს ერთ მთლიან განუყოფელ პროცესს,რომლის ინტერესები განუყოფელია. და როდესაც ჩვენს დროში წარმოიშვა ამგვარი, ეროვნული ცხოვრების რეალურ შინაარსზედ აგებული ეროვნული დოქტრინა,ცხადია,ის ვერ დაიტევს ვერც «მემარცხენის» და ვერც «მემარჯვენის» სახელწოდებას.

მაგრამ ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა გაქრა თვით ძველი აზროვნების წიაღშიც. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის ისტორია, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ფრთა რესპუბლიკანელთა იღებს ხოლმე ხელში მთავრობას, სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაინც ერთ ტრადიციულ კალაპოტს მიყვება და ამ პროცესში «მემარჯვენეობა» და «მემარცხენეობა» მათდ შეუმჩნევლად კარგავს ყოველივე აზრს.

ამ განმარტების შემდეგ ძნელი გასაგები აღარ იქნება რომ თეთრი გიორგი, რომელიც დაიბადა და აღიარებს მთლიან ეროვნულ იდეას, არ შეიძლება იყოს არც მემარცხენე, არც მემარჯვენე. მისი შინაარსი ორივეს იტევს, ხოლო მას, ცალცალკე, ვერც ერთი აღნიშნული ცნება ვერ ჩაიტევს. ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ არა გვწამს არც ერთი არც მეორე. ჩვენ არც მემარცხენეები ვართ, არც მემარჯვენეები. ხოლო ყოველ საჭირო დროს, თუ კი ეროვნული ინტერესი მოითხოვს — ერთიც და მეორეც. დღეს მიცდომაა, რომ ფაშისტებს მემარჯვენეებს უწოდებენ. რათგან ფაშიზმისთვის, როგორც ზემოდ განვმარტეთ, ეს ორივე ცნება ერთნაირად არის მისაღებიც, და ერთნაირად უარსაყოფელიც თუ მემარჯვენეობა ნიშნავს კომუნისტური რევოლუციისა და განადგურების წინააღმდეგობას, მას იღებს ფაშიზმი, თუ მემარცხენეობა ნიშნავს სოციალური რეფორმებისა და სამართლიანობის განხორციელებას, ამასაც იღებს ფაშიზმი. ფაშიზმი არც ერთ სოციალურ რეფორმის განხორციელებაზედ უარს არ ამბობს, თუ კი ერის ინტერესი ამას მოითხოვს. ამაშია ფაშიზმის მთელი ღირსებულობაც. ეს არის, თუ გნებავთ, ნამდვილი სოციალიზმი.

ფაშიზმისათვის სოციალური და ეკონომიური საკითხები დამოუკიდებელ პრობლემებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი არიან ნაწილები ერთი დიდი ეროვნული პრობლემის.

ამიტომ ეროვნული პრობლემის გადაწყვეტისათვის თეთრი გიორგი სწყდება ჯერ სოციალურ და ეკონომიურ პრობლემებს. იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი პრობლემები თანამედროვე ცხოვრების ქვაკუთხედნი არიან, იმდენად მათ გადაწყვეტაზედ არის სავსებით დამყარებული ეროვნული პრობლემის ბედიც. ჩვენში ე. წ. ეროვნული პარტიების მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ჭეშმარიტება ვერ შეიგნეს, საქართველოს სინამდვილის ისეთი დიდი ფაქტორი, როგორც არის მიწის საკითხი, სოციალურ საკითხად აღიარეს და მისი გადაწყვეტის ბედი სოციალისტებს მიუგდეს ხელთ. საქართველო მიწად მოქმედების ქვეყანაა: მაშასადამე ქართული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა სავსებით მიწის საკითხის სწორ გადაწყვეტაზედ იყო დამყარებული. ამიტომ ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ საქართველოს ბატონი ის პარტია უნდა შექმნილიყო, ვინც ერის ცხოვრების ამ უდიდესი ფაქტორს მოწესრიგებლად აღიარებდა თავს და ეს ასეც მოხდა...

ეს ჭეშმარიტება თეთრი გიორგიმ ადრე შეიგნო და მისი იდეოლოგია სწორედ ერის რეალ ინტერესებს შეუგუა; უკვე, მთელი აზრის სისტემა მისგან მიიღო. ამ გაგებით არც ერთი ფაშისტური ორგანიზაცია და არც თეთრი გიორგი არ გაურბიან უკიდურეს სოციალურ რეფორმებსაც, რამდენადაც ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესი, და რამდენადაც ის შეეფერება თვით ცხოვრების ბუნებას. ამ მხრით თეთრი გიორგი უკანასკნელ უკეთეს სოციალიზმსაც დაამყარებს საქართველოში, რაც კი შესაძლებელია. დასკვნა. დღეს წამოყენებულია ინტეგრალური ნაციონალიზმის იდეა. ის სწრაფად ზრდის ისხამს მთელ მსოფლიოზედ. მის გვერდით კი ქრებიან ანტიეროვნული მიმართულებანი და ჩვენშიც

ალ. მანველიშვილი.

# ჩვენი თაობის ამოცანები

1921 წლის დამარცხებამ სრულიად ნათელჰყო ჩვენი პარტიებისა და მათ მეთაურთა მოღვაწეობის სიყალბენი. მან გამოაშკარავა მავნე შედეგები იმ იდეებისა, რომელნიც შემოიტანეს რუსეთითგან და დააუფლეს ქართველი საზოგადოების სულსა და აზრს.

მანვე ჩასწერა კიდევ ერთი შავი ფურცელი ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში. საქართველოს განთავისუფლების დღეს ის ისე ყოფილა დაცემული, რომ მასში ერთი პირიც არ აღმოჩნდა მოპოებული ვითარებისთვის ღირსეული ხელმძღვანელობა გაეწია. ჩვენს საზოგადოებრიობაში აღმოჩნდა უდიდესი ზნეობრივი კრიზისი. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მორალი, ეროვნული შეგნება, დამოუკიდებელი ცხოვრების ტრადიციები, სახელმწიფოებრივი იდეალი, — ძალიან შორს აღმოჩნდენ აწმყო ვითარებათა მოთხოვნილებისგან; მათთვის გაუგებარი დარჩა ის დიდი მოწოდება, რომელიც მოდიოდა მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს გულითგან; მათთვის შეუცნობელი დარჩა დაჭრილი სულის განკურნება, მათ სმენამ არ მიიღო სიხარულის ჰაანგზედ ამღერება..

საერთო ვითარებით განაყოფიერებულ ნიადაგზედ ვერ დაეცა თესლი ნაყოფიერი, მან ვერ გაიდგა ფესვი ძლიერი და მცირე ნიავის შემობერვაზედ გადაიქცა საკენკად ყვავ-ყორანისა.

საქართველო დამარცხდა. და თუ ამ დამარცხებამ გამოაჩინა უდიდესი უფსკრული მომქმედ პარტიათა იდეალებსა და რეალურ მოთხოვნილებათა შორის, სამაგიეროდ, 1924 წლის აჯანყებამ და დამარცხებამ, ჩვენი განმანთავისუფლებელი ბრძოლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში კიდევ ახალი თარიღი აღნიშნა. 1924 წლის აჯანყება იყო ერთის მხრივ ერის მღელვარე სულის გადატანა ბრძოლის ქარცეცხლში, მეორე მხრით — ჯერ კიდევ გონს მოუსვლელ პოლიტიკურ პარტიათა უკანასკნელი ცდა და უკანასკნელი გამომშვიდობება ეროვნული ბრძოლის ასპარეზითგან. ამავე აჯანყების დამარცხებამ ძველ თაობას ჩამოართვა ბრძოლისა და ხელმძღვანელობის დროშა და გადასცა ახალს. ეს გადაცემა მოხდა სისხლით, მისი მსხვერპლი გახდა 7000 ქართველი, და ამ დღითგან სისხლით ნაჰდერძევ დროშას ხელს ჰკიდებს ახალი თაობა და ახალგაზრდული გამბედაობით მიაქროლებს წინ.

ჩვენი თაობა პირველი რევოლუციის ცეცხლშია დაბადებული და უკანასკნელ დრომდე ამ ცეცხლსა და ბრძოლაში გამობრძმედილი.

ჩვენში რევოლუციონური სული: გარდაქმნის, გადახალისების—იმ თავითვე ჩაისახა; ის ჩვენი თაობის ორგანიული ნაწილია და ამ თანდაყოლილ თვისებას ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს. სხვათა რევოლუციონერობა თუ ამა თუ იმ ვიწრო პოლიტიკურ მისიას ემსახურებოდა, ჩვენი რევოლუციონური სული დიდ ეროვნულ იდეალს ემსახურება, ყველა მის მოწინააღმდეგე ძალთა განადგურებით, ეროვნული ცხოვრების ახალი და ბრწყინვალე დასაწყისის მიცემისათვის. ჩვენი რევოლუცია იქნება ეროვნული. თუ ჩვენი ძველი თაობა დაბრმავებული იყო ვიწრო სოციალური საკითხებით და დიდი, ეროვნული, მთავარი მიზანი ავიწყდებოდა, ჩვენი თაობის ამ რევოლუციონურ აღტყინებას სამშობლოს სიყვარული და მამულის წინაში მისი მოვალეობის გრძნობა ასულდგმულებს. აი, ჩვენი თაობის სულიერი და იდეური ფიზიონომია.

„საქართველო უწინარეს ყოვლისა“, ეს არ არის მარტო დევიზი; ეს არ არის გრძნობათა ქვეყნითგან მონაბერი ნიავი. არამედ — დიდი ეროვნული დოქტრინა, ჩვენი ეპოქის ქარიშხლის მიერ მიტანილი; ეს არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი — ჩვენი წარსული და მომავალი.

დღეს ჩვენი თაობის ვერც ერთი წევრი ვერ აუხვევს მას გვერდს და ნებით თუ უნებლიეთ მის წინ ქედი უნდა მოიხაროს.

ამგვარი შეგნებით, ამგვარი სულით, გულით და განცდებით მოდის ჩვენი თაობა, შეუდრეკელი ნებით, წარბშეხრილი და მრისხანე შუბლით მიიწევს მამულის ბედნიერების სამსხვერპლოზედ. ყოველი დამაბრკოლებელი ძალა, ყოველი მოვლენა, რაც ჩვენ წინ გადაეღობება — მიგვაჩნია არა მარტო შეცდომად, არამედ დანაშაულად და ბოროტებად ერის მომავლის წინაშე. ამიტომ ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ: ჩვენ გვინდა ჩვენი თავი ვანაცვლოთ ერის კეთილდღეობას, ამისთვის არავის და არაფერში არ დავინდობთ, ვინც ამ დიდი საქმის გზაზედ გადაგვეღობება. ძალიან ხშირად, ბრძოლის გზაჯვარედინზედ, ჩვენი დიდი იდეალი აკავებს მისთვის შეუფერებელი საშუალებებით ბრძოლას და ამ პრინციპს ჩვენ ბოლომდე დავიცავთ, და როგორც მუსოლინი იტყოდა: „ჩვენ ამას ვიზამთ დიდის სიყვარულით, ხოლო თუ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ია, ვიხმართ ძალასაც.“

ჩვენს თაობას ძალიან მძიმე ხვედრი არგუნა ისტორიამ. ძველმა რუსეთმა თუ ძირფესვიანად ამოაგდო ჩვენში ყოველივე ეროვნული, ახალი ბარბაროსები მას ცეცხლს აძლევენ. დღეს საქართველო ისევ დაპყრობილია, და უწინარეს ყოვლის განთავისუფლებას მოითხოვს; ხოლო განთავისუფლებული საქართველო — დაუღალავ შრომასა და მიზანშეწონილ მზრუნველობას, მისი დაცვისა და აღდგენისათვის. ამ იდეალების განხორციელება პირველ რიგში მოითხოვს ეროვნულ სოლიდარობას და ამ ნიადაგზედ შრომისა და მოღვაწეობის რაციონალურ ორგანიზაციას. ამის გარეშე ვერ გაიხარებს მცირე რიცხოვანი ერი. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი და მოქალაქობრივი სინამდვილე ისეა დაცემული, რომ არც ერთი აღნიშნული პრინციპის განხორციელება არ შესწევს. მტკიცება შორს წაგვიყვანს და ჩვენც მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ძველი მოღვაწეობა აღარ არგია ახალ მოძრაობას. მას აღარ შეუძლია, არც გადაზრდა და არც გამოცვლა იმ ნიადაგის, რომელზედაც ჭაღარით შეიმოსა. მათ დამსახურებად ისიც საკმარისი იქნება, რომ ხელი არ შეუშალონ ჩვენს მოძრაობას, დახმარებას კი არ მოველით. თუ პიროვნულად ვინმე დასძლევს ამას, ეს გვწამს, და ყოველთვის ხდება ასე,საზოგადოდ ამაზედ ოცნება კი ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია და მოქმედება ზღაპარია.

მეოცნებე ადამიანთა მოქმედებანი, რომელნიც ხშირად ამ ოცნებაში ატარებენ დიდ კეთილშობილურ იდეალებს, ჰუმანიურ გრძნობებს, ყოველთვის მარცხით თავდებიან. რათგან

69-70-71

მკლესიისა, ოჯახისა და სამშობლოს წინააღმდეგ. ესე იგი სურდათ აღმოეფხვრათ ხალხის გულიდან ყოველი პატიოსანი გრძნობა; აღმოეფხვრათ ყოველივე ის, რასაც ადამიანი პირუტყვისაგან გამოარჩევს; რაც ველურთა შეუგნებელ ბრბოს ეროვნულ სახეს ანიჭებს და წარმატების გზაზედ აყენებს. ერთი სიტყვით ცდილობდნენ ქართველი ერი უკუღმართ ფარად ექციათ იმიტომ, რომ შეუგნებელ ბრბოს უფრო ადვილად დაუმორჩილებდენ ეშმაკთა ეშმაკს, ტარტაროზთა ტარტაროზს... — კარლ მარქსსა!

ხოლო ქვეყნეული ხალხი ყოველთვის ეროვნული გზით მიდის და სამშობლოს მაღალ აზრს ემსახურება.

კიდევ მაგონდება... ერისთაობა იყო. ყველა სოფელ არბისაკენ ეშურებოდა. მეც შევკაზმე ცხენი და წავედი. საუცხოო სანახავი იყო ხოლმე არბის მიდამოები ერისთაობას: ფერად ფერადი ჩარდახიანი ურმები, რომელშიც ლამაზი, ჰმკლეუბა ქალები, ვარდის თაიგულივით, ისხდენ შიგა და კოხტა ცხენოსნები მიედებოდნენ ხოლმე მთელ მიდამოებსა. სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა! მძიმე შრომით და ყოველდღიური ქუჩვა-ზრუნვით დაღლილ-აქანცული ხალხი იქ იქარვებდა გულსა, იქ პოულობდა სულიერ შვებასა. არც ერთ ასეთ დღეს არ დააკლდებოდენ ხოლმე ქართველები, ერთმანეთს გაიცნობდენ, დაუმოყვრდებოდენ. იქ ხედავდა ქართველი ხალხი ეროვნული მთლიანობის შვენიერ სინამდვილეს, იქ ჰპოვებდა ხოლმე თავის ეროვნულ მეობას. ერისთაობა, უსანეთობა, ლომისობა, მარიამობა, ალავერდობა და სხვა ოჯახთან და სარწმუნოებასთან, ბრძოლასთან და გმირობის მოქმედებასთან ერთად სჭედავდენ ქართველი ხალხის ეროვნულ სახესა.

ერისთაობაა, ლხინი და ზეიმია გაჩაღებული! იქ, მოხდენილი, ქოჩორა, თამარაშვილი ბიჭი ჟუჟუნა თვალებიან ტიტინისელ გოგოს ეკეკურება; ზურკალეთელი გლეხი თავის ბიჭს ტყვიაველ გოგოზედა ჩიშნავს; ჭობისხეველი აზნაურის კაცს მეჭერჭება. იხმია ზურნის საჭიდაო: ქვიშხეთელი ფალავანი კი ჩვალელ კიდურგას ეჭიდება. მინდვრის შუა გულში ლხინია გაჩაღებული: დაირა და ბუზიკა! ცანგალა და გოგონას ვეუვნი გუდის ყოველ მხრიდგანა! უცბად: «ჯირითია, ჯირითი»! — ყვირიანდა ხალხი დიდი მინდვრისაკენ მიეშურება. შემოჭკრავს მიტო აბაშიძე თავის ლურჯა ცხენსა და რაზმიდგან ისარივით გამოვარდება, გადასწვდება გაჭენებული ცხენიდგან და ბალახს მოჭრის ვაჟკაცს; მას ილიკო აშილახვარი მისდევს, ოქროს ფერ ბედაურზედ ფესითა სდგას. «აი შენი ჭირი მე შენი, ილიკო»!! ყვირიან გლეხები. ერთი ღრიანცელი სდგას. ილიკოს თავზარაშვილი გამოეჭყევება ყარაბაღულ მერანზედა ზის, ხან გადმოხტება, გაჭენებულიდგანა ხან უკანვე მეფრინდება! ხან ხმალს აიღებს და უხვზედ შეატრიალებს! ხალხი გუგუნებს, ყვირის აღტაცებით: «შენი ქონიშეს ჭირიმე, შენი თავზარაშვილო»!! გაჭყვირიან და ამხნევებენ ხმითა.

ჭაერში ბედნიერება ტრიალებს, ყველას პირზედ ღიმილი უთამაშებს და თვალები უცინის. მაგრამ კოჭლი ეშმაკის სული არა სძინავს...«მიტინგია, მიტინგი — გაისმა ხმა — ხალხო, სოფლის თავში წადით ყველა! სოციალ დემოკრატები მიტინგსა მართავენ»!!

ყველას პირზედ ღიმილი შეკვამრა. მიტინგისაკენ გავემურეთ. სოციალ-დემოკრატების ქადაგი ღობეზედ ალაჯული. გარქმეული მაუზერებით შეიარაღებული კაცის მკვლელები უდგია. «ამხანაგებო! — გაჰყვირის ქადაგი — დაფიქრდით რაის ჩადიხართ! მაი ერისთობა და ყველა ამგვარი დღესასწაულები თავადების მოგონილია თქვენ დასაკრძალებლათა! დაძველებული, დახავსებული ჩვეულებაა! უნდა მოვსპოთ, გავაუქმოთ ეს თავადების და ღვდლების ჩვეულება! მარქსმა გვასწავლა... ძირს!.. გაუმარჯოს სოციალიზმს!.. მაღლა ასწიეთ წითელი დროშა! ძირს თავადები და სამღვდელოება — გაჰკივის ქადაგი — სიკვდილი ხალხის მტრებს თავადებსა»! აქ კი ცანგალა მინდიაშვილმა ვეღარ მოითმინა: «შენ ჭყი! ვიღაც ოხერი მოსულხარ! რას მიჭყარავ! რაებსა როტავ, რომ როტავ?! რის მტერიო რა მტერიო?! არა, გიორგი აშილახვარი ან შალვა ერისთავი, ან თავზარაშვილი ტრაპეზონელი თათრები ხომ არა გგონია»?! დასჩხავლა ვანცალამ თავისი ზრინწიანი ხმითა. «გასდევნეთ აქედგან მაი ხალხის მტერი, მაი ცხოვრების ზედმეტი ხორცი»! დაიწივლა ქადაგმა და კაცის მკვლელებმა ც ხმა მისცეს, ამან კი ვანცალა სულ მოთმინებიდგან გამოიყვანა. ისე გაცეცხლდა სულ ქოში უკეთმა ყარა. «რაო, რაო? ხალხის მტერიაო»? და ხანჯალ ედ ხელი გაისვა: «გამიშვით, ენა უნდა მოვაჭრა მაგისი..» და აქ ერთი ლაზათიანად შეუკურთხა: «აი შე ეშმაკის მოციქულო, შენა»! ყვირის ვანცალა გააფთრებული და იწევს. კაცის მკვლელებმა მაუზერები მოიმზადეს... მაგრამ ვანცალა დროზედ გაიტაცეს მეგობრებმა მიტინგიდგანა. ქადაგი კი განაგრძობდა კივილსა: «ხალხის მტერი, ზედმეტი ხორცი, ჩარჩი»:

ქადაგს დავაკვირდი: შავი, რგვალი, რაღაცა ცუდი ცეცხლით ანთებული თვალები უცნაურად უტრიალებდენ ქუთუთოებშია. შავი თმა-წვერ ულვაში გაწეწილი ჰქონდა. მაგრამ პირისახე იმაზედ უფრო დაუგანელი ჰქონდა, თავ-პირი ჩამოსტიროდა, თითქოს მთელი მსოფლიოს ნაღველი მარტო იმის გულს დასწოლოდეს ანგარიშათაო. რაღაც გულ ჩათხრობილი და გველური არსება იყო... ჩავაკვირდი და აშკარად ვიგრძენ. რომ მის სულს ალქაჯი დაჰპატრონებოდა, რომ მისი რგვალი, შავი, ცუდი ცეცხლით ანთებული თვალებიდგან კოჭლი ეშმაკი გამოიცქირებოდა... გამოიცქირებოდა ბოროტად, ვერაგულად თითქოს ნიშნს უგებდა საქართველოს: «დაღუპვის გზაზედ დავაყენე თუ არაო»?!

შესწყდა დღეობა ხალხი დაიშალა. რაც ისიამოვნა ისიც ჩამწარდა... მეც სახლისაკენ ვქენი პირი. ჩემ ნიშას ნელნელა მივაჩაქჩაკებდი, რომ გზაში ერთ ურემს წამოვეწიე. რასა ვხედავ? ურემში ერთი კაცის გვამი დაესვენებიათ და ზედ ნაბადი აქვს წაფარებული. — «ვინ არის მეთქი»? — «ვანცალა მინდიაშვილია»-ო — მომიგო მეურმემ. ცოლი მეცა. — «რა მოხდა მეთქი»? — «რაო და სახლისაკენ მიდიოდა საცოდავი, არბის ბოლოს ვიღაცამ ესროლა და მოკლაო... მაუზერის ტყვია აქვს მოხვედრილიო»-ო — დასძინა დაბალი ხმით მეურმემ, თითქოს ეშინოდა არავინ გაიგონოსო. მივხვდი, ვისი მოკლული იყო. პირჯვარი გადავიწერე, ცხენს მათრახი გადავუჭირე და გავქუსლე. გავგურცხლე შორს არგოს მიდამოებიდგანა თითქოს ავ სულს გაურბოდი.. მაგრამ, გეფიცებით, აშკარადა ვგრძნობდი, რომ კოჭლი ეშმაკი უკან მომდევდა და ჯოჯოხეთურ ხარხარს მაყრიდა.

მალე მივხვდი, რომ ხალხის მტერი და ცხოვრების ზედმეტი ხორცი ვანცალა მინდიაშვილი კი არა ყოფილა, საქართველოს დასაღუპავად, არამედ მოსკოვიდგან მოვლინებული, ეშმაკის მოციქულები. ვანცალა საზოგადოების საჭირო და სასარგებლო წევრი იყო, რადგან ყოველ ერს ესაჭიროება, როგორც შექმნილი ღირებულებათა, აგრეთვე მისი მყიდველ მომხმარე და მაშასადამე მათ შორის შუა მავალი ვაჭარიცა.

ხომ მოგეხსენებათ, ბატონებო, ტურა რომ მოპირდაპირეს, ვერას დააკლებს მყრალ სუნს გამოუშვებს ხოლმე მის მოსაწამლავად. რუსეთმა რომ ჩვენი ხალხი ცეცხლითა და მახვილით ვერ გადააგვარა, ადგა და საქართველოს მოსაწამლავად მოსკოვიდგან მყრალი სუნი გამოუშვა. ეს სუნი მარქსიზმი გახლავსთ, რომელიც დღესაც სწამლავს და ხრწნის საქართველოს ეროვნულ სხეულსა.

შემთხვევით გათუმში მოვხვდი. კვირა დღე ქალაქ გარედ, მენშევიკებმა მიტინგი გამართეს. მეც წავედი. «ვლასა ძველამე ილაპარაკებსო, — აზარებდენ ერთმანეთს მენშევიკები. ხალხი მოსვავდა. მაღალ საფეხურზედ აჩოჩდა ქადაგი ვლასა. თან რამდენიმე კაცის მკვლელი ახლდა. ეს ვლასა ქადაგი ერთი უცნაური არსება იყო. უწვერ ულვაშო თუმცა უკვე ხნიერი. გრძელი თმები ჰქონდა და ისე გაწეწილი თითქოს შიშისაგან ყალყზედ დასდგომოდესო. დაჭყეტილი, უფერული თვალები ამორინდებული, მოლასავით მაღლა ჰქონდა მიპყრობილი. ერთი შერეკილა და ატაცებული ვინმე იყო. დაიწყო... მაგრამ საბა ორბელიანის ან ილიას კალამი უნდა მქონდეს, რომ ან მისი გარეგნობა ავსწერო, ან ყაიდა მისი ლაპარაკისა. იმის ბოდვა ლომისის წმ. გიორგის მიერ ქადაგად ჩავარდნილ მკითხავ დედაკაცს მოაგონებდა მსმენელ მაყურებელსა.

მოჰყვა ღრიალსა დაჭრილი დათვივითა, მაგრამ რასა ბოდავს! რაებსა ჩმახავს! თავში კეტი დაჰარტყით, ავი გავი მიწოდეთ, თუ ერთი გონიერი სიტყვა ეთქვას. ტაში კი ბევრი დაუკრეს.

ვუსმენდი, ვუკვირდებოდი და ვრწმუნდებოდი, რომ ის საცოდავი კოჭლი ეშმაკის მიერ იყო შეპყრობილი, რომ მისი გადარეული თვალებიდგან კოჭლი ეშმაკი გამოიყურებოდა და მისი ენით ის შავ ბნელი ავი სული ლაპარაკობდა. თორემ თუ არა ავი სული აბა ადამიანი როგორ იტყოდა რაც იმანა სთქვა: საქართველოს საუკეთესო შვილები ქვეყნის მტრებად გამოიყვანა და ხალხი წააქეზა მათზედა. «ხალხის მტრები... ხალხის ოფლითა სცოცხლობენ... მუქთა ხორები»... ღრიალებდა ვლასა და ხელები რაღაცა გიჟურადა პარტყავდა, ისე იქნევდა თითქოს ბზეს ანიავებსო.

ჩემს გვერდით ერთი მოხუცი გურული გლეხი იდგა და ჩიბუხს აბოლებდა. მომიბრუნდა: «გესმის გიმია რაის ჩივის მაი? მუქთა ხორებიო. მაი ყაზახს გვარიანად ვიცნობ, მეზობელია ჩემი. რაიღაი პარტიაში ჩაეწერა. აი, 30 წლისწადია, ხელში ბარი არ აუღია. სხვა რაიმე კაი არ იცის და ხალხის ოფლით თუ არა ცხოვრობს აბა რითი ინახავს თავს მაი ყაზილარი? მუქთა ხორა თვითონაა და სხვას კი უჩივის».— «აბა ერთი კარგად დააცქერდი, ჩაჩიჩინულე და დარწმუნდები, რომ ეშმაკის მოციქულია». გურულმა განცვიფრებით შემომხედა ხელი კლავში ჩამკიდა და დაგალის, მაგრამ აღელვებული, ხმით მომიგო: «მართალი ხარ შენ, ბიძია, მართალი». ყველა მაგინი მაცდურის მიერ არიან შთაგონებული. შენ ახალგაზრდა ხარ და მოესწრები და ნახავ თუ როგორ დაღუპავენ ქვეყანასაცა და ხალხსაცა». მართლაც მოვესწარი და ჩემის თვალით ვიხილე, დღესაცა ვხედავ მენშევიკების შემოქმედების შედეგებს და ხშირად მომაგონდება ხოლმე მოხუცი გურულის სიტყვები. ცოცხალი აღარ იქნება საცოდავი: იგი ალბად ბარით ხელში მოკვდა, ზედ დააკვდა საკუთარი ოფლით განოყივრებულ მიწასა. თქვენა ჰქმნით და სჭედავთ საქართველოს ცხოვრება ვითარებასა, თქვენი პატიოსანი ხელითა ჰქმნით მომავალსა ჩვენო გლეხებო. შრომის უღელში ამოხდა ნამდვილად სული საწყალ მოხუცსა. ქადაგი ვლასა კი დღესაც განაგრძობს თავის ბოდვასა, დღესაც, იმავე კოჭლი ეშმაკის შთაგონებით, მენშევიკების ბოროტ საქმეთ ემსახურება. ხელები გარისა და ნამგალის ჭერით გაცვეთილი არა აქვს, ენა კი ყბედობით არ გაცვდება.

კოჭლი ეშმაკი საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებსაც ეწვია. ბევრი ეროვნული განძი წაგილწა, ბევრის გონება და ბუნება მოსწამლა. მაგრა, დღეს, კულტუროსანი ერების წიაღიდგან მტკიცე და მრისხანე ეროვნული მალები წამოიჭრენ და აღკავეს კმაკის სული: მარქსიზმი. ეს ბოროტების ძომლვრება დღეს ევროპაში დასამარებულია. ხოლო მარქსიზმის ამყოლნი მეთაურნი, პაპი ჩემის ზღაპრის კაცივით, უფსკრულში გადაიჩეხენ ზნეობრივად, რათგან მათ როგორც აწმყო ჰგმოცს აგრეთვა მომავალი და ჰგმობს და დასთურგმნის.

საქართველოშიც იგივე ბოლო მოელის კოჭლ ეშმაკსა: თ.-გიორგი მას ხამუდამოდ ამოაკვეთინებს ფესვსა. თ.-გიორგი საქართველოს სიცოცხლის ძალაა, იგი ძოწოდებულია თვით საქართველოს ედის მიერ და თავის მოვალეობას ურყევად და მტკიცედ შეასრულებს.

შენ კი, ჩემო ვანცალა, მშვიდობით განისვენე სამშობლო მიწაში... ბევრი სიმართლე სთქვი შენი ზრინწიანი ხმითა და სწორედ ამიტომ გაგიხვრიტეს გული მაუზერის ტყვიითა. მაგრამ ჩვენ სახელოვან წინაპართ უბრძანებიათ: «სიმართლე, ვით სხივი მზისა, ადრე თუ გვიან, წყვდიადს მაინც გაჰფანტავსო». შენი ხმა ხალხის ხმა იყო თუმცა, იმ ბნელ დროს. განმარტოებული იყავი და არავინ გამოგეხმაურა. დღეს კი მარტო აღარა ხარ. დღეს მთელი ქართველი ხალხი, აღჭურვილი ეროვნული შეგნებითა, შენს სიტყვებს იმეორებს: «ძირიან ფესვიანად უნდა აღმოიფხვნას, საქართველოში, კოჭლი ეშმაკის სული». მრავალი ახალი ალექსა გუთნიდედაშვილები გამოჩნდებიან და კოჭლი ეშმაკის მიერ, ჩვენს ქვეყანაში დამჩნეულ საშინელ კვალზედ ქართულ

ლებით მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ როდესაც დადგა ჟამი ამ აზრის ხორც-შესხმისა, ცივ გონებამ სძლია გრძნობა და ხმალი ქარქაშში გაიყინა.

ჩვენ ვსარგებლობთ ამ გამოცდილებით და არ გვინდა ცივ ანგარიშებზედ დავამყაროთ სამომავლოს რედი. ამიტომ ჩვენ უნდა გავწიოთ სასტიკი ეროვნული პროპაგანდა, ამისათვის ხელს გვიწყობს არა მარტო შინაგანი პირობები, არამედ გარედ შექმნილი ვითარებაც. ნელ-ნელა უნდა აღმოვფხვრათ ქართველობაში ყველა, უცხოელთაგან შთანერგული ყალბი აზრები. განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ზოგიერთ ჩვენში გაბატონებულ, ეროვნულ ღირსებათა შემლახველ ტრადიციებს, რომელნიც დამყარებულნი არიან მხოლოდ უვიცობაზედ და საკუთარი თავის არ ცოდნაზედ. ჩვენში დღესაც მოიპოებიან ისეთები, რომელთაც არ სწამთ ჩვენი ეროვნული კულტურა, მისი ლიტერატურა, მისი მთელი წარსული, მისი ეროვნული ღირებულება. დღეს არიან ბევრი ისეთები, რომელნიც რუსეთის და სხვა ქვეყნის მწერლებს, ჩვენს შეუდარებელ, მსოფლიო მნიშვნელობის მწერლებზედ: რუსთაველზედ, ვაჟაფშაველაზედ და სხვებზედ მაღლა აყენებენ. მთელს ჩვენ ეროვნულ შემოქმედებას სხვათა გავლენით შექმნილად აღიარებენ. რუსეთის ხანგრძლივ ბატონობამ ამ ხალხში მონური მორჩილების სული, მონური რწმენის გრძნობაც შექმნა და რაც სხვამ, რუსებმა, ჩასძახეს, იმას ამოიძახიან. ნამდვილად კი მათთვის უცნობია ჩვენი ეროვნულ-კულტურული საუნჯე; მათ ვერ შესძლეს მისი გაცნობა და დაფასება. ამიტომ როგორც უკანასკნელი არის სამწუხარო და სამარცხვინო, ისე მათი ცრუ პროპაგანდა არის ფრიად მავნე და მიუღებელი.

მსგავს მოვლენებს ჩვენი თაობა უნდა ებრძოლოს სასტიკად. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ საშუალება უფრო დიდი მიზნის. ჩვენ ნელ-ნელა უნდა დავიმუშაოთ და შევიტანოთ ერში მთელი სისტემა იმ აღმზრდელობით ფაქტორთა, რომელნიც ძალუმ ეროვნულ იდეალის შექმნას ემსახურებიან. ამის მისაღწევად ყველაზედ ადვილი საშუალება არის თვით ჩვენი დიდი წარსულის შესწავლა. ჩვენი ერის მდიდარი წარსული: ზოგჯერ მომხიბლავი, ზოგჯერ დამაღონებელი, თავისთავად ისეთი ხასიათისაა და შინაარსისაა, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართველი, რომელმაც ის კარგად იცის, პატრიოტი არ იყოს! შეუძლებელია მოღალატე ქართველიც კი, თავდადებულ წინაპართა გახსენებით სულიერ ქენჯნამ არ შეიპყროს, შეუძლებელია მამა-პაპათა გმირობის მოგონებამ ცუდ გზაზედ შემდგარი ქართველი არ შეაძრწუნოს!..

ჩვენი ბრწყინვალე წარსული არის ჩვენი ახალი თაობის საუკეთესო აღმზრდელობითი ფაქტორი. ამიტომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ახალგაზრდობას შთავუნერგოთ განვლილ ჟამთა ძლიერებულებათა სიყვარული. შევქმნათ კულტი ჩვენი ეროვნული წარსულის იმ დიდებათა, რომელნიც ყოველთვის მონათობელ ლამპრად დარჩებიან ახალ და ახალ თაობათა, სულსა და გულის, გრძნობისა და მოქმედების...

სინამდვილემ დაგვიმტკიცა აგრეთვე, რომ სხვათა გავლენის ნიადაგზედ ჩვენი ძველი თაობა ასცდა საქართველოს სინამდვილის შესწავლას. მათ უხდებოდათ, ყველა ქვეყნების: ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის და ევროპის ისტორიების შესწავლა, როდესაც საქართველოზედ წარმოდგენა არა ჰქონდათ. ციცერონზედ, კანტზედ, მარქსზედ, ჩერნიშევსკიზედ, მთელ წიგნებს დაგიწერდენ — როცა გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირეს სახელები არ გაეგონათ. დანტეს, შექსპირს, დომოსტროის, ილია მურომელს ზეპირად გეტყოდენ — როცა რუსთაველი, გრ. ხანძთელი და ამირანის თქმულება არ წაეკითხათ...

ამგვარად როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ჩვენი ძველი თაობა, რომელმაც ქვეყნის მართვის საქმეს ხელი მოჰკიდა, — მისთვის ყოვლად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ერთმა ფრიად პატივცემულმა, ძველმა ეროვნულ მოღვაწემ პირდაპირ განაცხადა: — ჩვენ ქვეყანას რუსული არშინით ვზომავდით. ჩვენ არ ვიცნობდით ჩვენი ქვეყნის მთავარ ძალებს, მის ეკონომიკას, მეურნეობას, სიმდიდრეს, ეთნიურ თავისებურებას და უვიცობაზედ დამყარებულნი, ჩვენი ბრძანება-დადგენილებებით, თურმე, ვჭრიდით იმ ტოტს, რომელზედაც ვისხედითო. — ეს განცხადება ეკუთვნის ერთ ერთ მინისტრს ჩვენი დამოუკიდებელი დროისა. ეს არის გულწრფელი განცხადება.. ეს დიდი და არა სამატიო ნაკლი ჩვენი ძველი თაობისა კარგად უნდა გაითვალისწინოს ახალმა. მართალია, ჩვენ დღეს, ასე თუ ისე, საკუთარ მიწა-წყალზედ გვაქვს ჩვენი უნივერსიტეტი, რომელმაც საკმარისად დასთესა დიდებითი თესლი ამ ნიადაგზედ, მაგრამ ის დღეს კომუნისტების ხელში ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ მას უჭირს სავსებით განახორციელოს მისი დიდი მისია. და ჩვენ ახალგაზრდობამ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, ვსძლიოთ ეს ჭირვეული სენი, თვით გავიკაფით გზა და გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნისადმი უვიცობიდგან. რ ა თ გ ა ნ  შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა  ბ რ ძ ო ლ ა  ი მ ი ს თ ვ ი ს,  რ ი ს  ღ ი რ ს ე ბ ა  დ ა  ნ ა კ ლ ი  ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს  უ ც ნ ო ბ ი  ი ქ ნ ე ბ ა.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე ჰმართებს აქ ემიგრაციის ახალგაზრდობას, რომელნიც ულმობელმა პირობებმა ადრე აჰყარა სკოლის მაგიდებიდგან და ასეთ მწარე სინამდვილეში გადმოისროლა. თუ წინად რუსეთში რუსდებოდენ, ახლა აქ, ევროპაში ჰკარგავენ თავიანთ ეროვნულ მეობას და გადაგვარება ორივე ერთია, გარუსება იქნება თუ გაევროპიელება. აქ აღზრდილი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს უკვე ეტყობათ, რომ ისინი სრულებით დაცილებულნი არიან ქართული ზნეჩვეულების ფარგლებს. დიდი სიფრთხილე და მოხერხება უნდა გამოვიჩინოთ მათი დაცვისათვის. თუ არა, ვინ იცის... იქნებ მომავალში, უცხოეთში მათს ამარას დარჩეს ქართული საქმე და ისე, როგორც გარუსებული ქართველები ნაკლებად ზრუნავდენ ქართველ ერზედ, ალბად ამათაც გაუჭირდებათ ღირსეული მოღვაწეობა.

ყოველი აღნიშნული მოვლენებისთვის ჩვენ ვიბრძვით თავშეუკავებლად. ჩვენ არ ვზოგავთ ძალ-ღონეს, ნივთიერ საშუალებას, ენერგიას, ფიქრებს, რათგან გვწამს, რომ ამით ერის კეთილდღეობას, მის ბედსა ვსჭედავთ; რომ ჩვენი თავგანწირულება არ ჩაივლის უკვალოდ, დღეს იქნება თუ ხვალ ჩვენ თვით ვიხილავთ მის ნაყოფს; ეს რწმენა აცისკროვნებს გზას ჩვენი მოქმედებისა, ეს გრძნობა აცხოველებს ჩვენს ახალგაზრდულ სულს და თავდადებული შრომით გვიახლოვებს ბრწყინვალე მომავალს...

(გაგრძელება იქნება)

გულს გადაატარებენ და გადასწნავენ. ამ ახალ და დიდგულ ეროვნულ ღრმა ხნულში თ. გიორგი, მტკიცე ხმლით, საქართველოს მომავლის თესლს დასთესავს.

დიახ, ადგილია ცოცხალთა მოკვლა. მაგრამ მკვდართა დამარცხება კი შეუძლებელი ილიას სხეული მოკლეს; მაუზერის კონდახებით გაუჩეჩქეს სამშობლოზედ ზრუნვა-ფიქრით დაღლილი თავი. მაგრამ დღეს მისი აჩრდილის წინაშე თრთიან და კანკალებენ მისი მკვლელნი.

დღეს ქართველი ერის სულში წინაპარნი აღსდგენ მკვდრეთით. დღეს დავით აღმაშენებელი, ალექსანდრე გარეჯანიშვილი, ილია, ქაქუცა და ხალხის მდაბიო ძენი ვანცალა მინდიაშვილები იმარჯვებენ. იმარჯვებენ საფლავებიდგან.

ნამდვილი და საგოლგოთო სიკვდილი მხოლოდ სულიერი დასამარებაა და ამ სულიერ სამარეს ილია და ვანცალა გაუთხრიან თავის სხეულის მკვლელებსა.

სოლომონ მაჭავარიანი,

∴

„ იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა. “

მარქსიზმის ქვაკუთხედი დაინგრა! ყალბ თეორიებზედ აგებული იდეოლოგია ადრე თუ გვიან უნდა გაკოტრებულიყო.

მაშ რისგან მოხდა, იკითხავს ზოგიერთი, რომ ასეთი ყალბი მოძღვრება ასე ძლიერ მოედო კაცობრიობას, მან ისეთივე ხასიათი მიიღო ზოგიერთ ქვეყნებში, როგორიც იყო ქრისტიანიზმი კულტურულ ერებისათვის? მარქსის სიძლიერე: თუ კი ასეთი რამ მას საერთოდ გააჩნდა, იმაში კი არ იყო, რომ მან ფარდა აჰხადა ცხოვრების უსამართლობას და მას უტყუარი მალამო გამოუნახა, არა! ყველასათვის აშკარა იყო კაპიტალისტურ წესწყობილების მიერ შექმნილი უთანასწორობა ერის სხვადასხვა კლასთა შორის, ამ წყობილების მიერ შექმნილი პრივილეგიები ზოგიერთთათვის! მარქსიზმმაც მიიზიდა მასსები იმიტომ, რომ იგი მიმართული იყო ამ სისტემის წინააღმდეგ იგი მოითხოვდა მის გარდაქმნას და, აი, ამაში იყო სწორედ შეცდომა ბევრის, ვინც არსებულ (თუ არ არსებულ!) სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში მარქსიზმს მხარს უჭერდა.

საქართველოში ამას კიდევ ის მიზეზი ჰქონდა, რომ ეროვნულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება იმ დროს ძნელი იყო; ამიტომ ბევრი, ვინც რუსულ „რეჟიმი“-ს გარდაქმნას მოითხოვდა, უნებურად მარქსიზმ-სოციალიზმს აფარებდა თავს, რადგან არც ერთი ეს მიმართულება არ იყო თავითვანვე განწირული მეფის მთავრობის მიერ. მაგრამ, რომ ეს ხელისუფლება მარქსიზმით უნდა შეცვლილიყო და ჩვენს ეროვნულ სამლოცველოშიდაც მარქსის მახინჯი „ ფიგურა “ უნდა წამოყუდებულიყო ეს მხოლოდ ჩვენმა „ ეროვნულმა მთავრობამ “ მიიღო ურყევ ფაქტად და შეიძლება ბევრმაც ასე გაიგო ჩვენში რისი მთავარი მიზეზიც ის გახლავსთ, რომ საუკუნით დახშულ ეროვნულ აღმაფრენასთან ერთად პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი შეჰხვდა ხალხი ამ გარდატეხას თა მხოლოდ ამით შესძლეს მარქსიზმმაც და მისმა უბადრუკმა მოხელეებმაც, რომ დროებით ფეხი მოიმაგრეს საქართველოში

ცხადია, ჩვენივე ბრალია, რომ ჩვენ მძინარი შევხვდით იმ დროს, რომელზედაც საუკუნეზედ მეტი ოცნებობდა ქართველი ერი, მაგრამ ეს იყო ჩვენი მხოლოდ შეცდომა და არა აღიარება იმის, რომ ქართველმა ერმა მშობლიურ ტრადიციებს უღალატა და მარქსისტულ კერპებს ეთაყვანა.

მაგრამ საინტერესოა თუ რა სურდათ ამ უნიადაგო მოძღვრების ქურუმებს საქართველოში, სადაც ეროვნულ ტრადიციებზედ აღზრდილ ქართველთათვის თვით ეროვნულ ქურქში გახვეული მარქსიც მიუღებელი იყო?! ვის ებრძოდენ ეს მარქსისტული „ მხედრები “? სად იყვნენ ან კაპიტალისტები ან ინდუსტრიით დაჩაგრული და დატყვევებული ის „ Industrielle Reservarmee “, რომლის განთავისუფლებაც სწადდათ ამ დაბრმავებულ ფანატიკოსებს? არც ერთი არც მეორე ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია. შეიძლება ძალიანაც განვითარდეს ჩვენში ინდუსტრია, მაგრამ მარქსიზმის ეს მთავარი დასაყრდენობი ძალა იქ მაინც არ შეიქმნება, რადგან ქართველი მუშა ისე ძლიერ არის შეზრდილი თავის ნაჭერ მიწაზედ, რომ იგი ძალით თუ შეიძლება აიძულოს ვინმემ თავისი კერა მიატოვოს.

ყველა ეს აღსრულდა. მას დღეს კომუნისტები ასრულებენ... მაგრამ ამაში დამნაშავე მარტო ქართველი სოციალისტ-მარქსისტები კი არ არიან, არამედ ის ქართველი ინტელიგენციაც, რომელიც სრულიად მოუმზადებელი დახვდა ეროვნული საკითხს, რომელმაც გადაჭარბებული თავაზიანობით ადგილი დაუთმო ამ ქართულ ნინამდვილისათვის სრულიად მოუმზადებელ ხალხს! ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ ვერ გამოიჩინა ის ენერგია და ის ეროვნული მომზადება, რომელიც მას მოეთხოვებოდა ისეთ რთულ საკითხის დროს, როდესაც ერის ყოფნა-არყოფნა სწყდებოდა. მან მეტად შეითვისა რუსული ნიჰილისტური თვისებები თავის აკადემიურ თუ „ ჩინოვნიკ “-ურ დამოკიდებულობის დროს ამ რუსის ერთან და როდესაც მას ეროვნული არსებობის უნარი უნდა გამოეჩინა იგი თვალ აუხელელ კატის კნუტივით დადგა იმ უფსკრულის წინაშე, რომლისკენაც ცოტა ხნის შემდეგ ასე საშინელი სისწრაფით დაქანდა ქართველი ერი. ჩვენ დავკმაყოფილდით იმ თეატრალურ ალლუმებით, რომელსაც „ ეროვნული მთავრობა “ ხალხის დასაბრმავებლად ჰმართავდა. შედეგი ყოველივე ამ „ ნაარ-ქექია “-ობის იყო ის, რომ იმ დროს, როდესაც რჩეული ქართველობა ბრძოლის ველზედ იხოცებოდა, რესპუბლიკის მებაირახტრე თავ-ქუდ-მოგლეჯილი, გარბოდა თორმეტ ზღვის იქით და ჩვენ „ ნავ-ბუნი “ კრეისერი „ ერნესტ რენან-ვაგონ “-ით, რომელიც გზად-გზა „ მიტინგ “-ებს ჰმართავდა და ყალბი პათოსით მოუწოდებდა გამოქცეულთ მტერს შებრძოლდნენ! მაგრამ ეს იყო წინედ; და იმ მრავალ გმირულ ეპიზოდებთან ერთად, რომლითაც მდიდარია უკანასკნელი ნაკვეთი ჩვენი ქამთ-აღწერის დარჩება ყოველივე ეს იმ სამარცხვინო ფაქტად, რომელიც მუდამ ცხად-ჰყოფს თუ სადამდის მიიყვანა ერი იმ საბედისწერო მოვლენამ, რომელიც მარქსიზმის სახით შემოიჭრა საქართველოში.

დღეს ახალი თაობა მიჰხვდა თუ რა ძვირფასია მისთვის ეროვნული გზა; მიჰხვდა ერი თავის დანაშაულს და კიდეც გამოისყიდა იგი. ჩვენი თაობის ვალი არის, რომ ჩვენ სწორედ ამ საშინელ კატასტროფით ჭკუა ვისწავლოთ, არავის მივცეთ უფლება არც გარეშე მტერს არც საქართველოს ღირს შვილებს ძველი ქართული სახელმწიფო აპარატი « ბეჟანც »-ების სალაყბოდ გარდააქციონ! ჩვენ ფიზიკურად შევებრძოლებით რუსებსაც და კომუნიზმსაც, როდესაც ამის დრო და საშუალება იქნება, როდესაც ერი იმდენად წამოდგება, რომ ბრძოლის მიცემას შესძლებს, სამშობლოსადმი მსხვერპლის მიტანით სისხლითგან არ დაიცლება! ჩვენ უფრო ძლიერ მტერს შევბრძოლებივართ. ჩვენ უფრო დიდი საშიშროება და უფრო დიდი დაბრკოლება გადაგვილახავს. დღეს კი ჩვენი ვალია ამ უბედურების სათავეს მარქსისტულ-სოციალისტურ „ მონსტრუმ “-ს ნიღაბი ავხადოთ და მისი მახინჯი სახე ერს დავანახოთ.

დეე იცოდეს ჩვენს შემდეგ მომავალმა თაობამ, რომ თავის დასაცავი იარაღი ქართველ ერს ქართველმა მარქსისტ-სოციალისტებმა ყუაში გადაუტეხეს. დეე იცოდეს ყველამ, რომ თუ ჩვენმა სამშობლომ ღირსეულად ვერ გაიბრძოლა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხელ-ფეხი შეუბოჭა მისმავე მთავრობამ და ასე მარქსისტულ ოპერაციისათვის გამზადებული დაახვედრა რუსეთის ველურებს.

ჩვენ ჩვენი წარსული თაობის მაგალითებს ვერ გავჰყვებით. „ მოდით და განაგეთ ჩვენზედ. “ ეს რუსული წესია და იგი რუსულად აღზრდილმა თაობამ კიდეც გამოიყენა. ჩვენ დღევანდელი თაობა კი, რომელმაც თავის თვალით დაანახა ერის აღდგომა და ერის დაცემა, ვერავის მივცემთ უფლებას ასეთი პოლიტიკური ექსპერიმენტები აწარმოონ ჩვენს ტანზე. თუ ქართველ გლეხს თავისი სახლი და ეზო არ ექნება ინტერნაციონალური იდეებიც მიზანიც ჰირს წაუღია; თუ ჩვენ ჩვენი ეროვნული თავისუფლება არ გვექნება სხვაგან ქვაქვაზედაც ნუ დარჩენილა. ჩვენ შეიძლება უფრო რთულ საკითხის წინაშე დავსდგეთ, ვიდრე ჩვენი წარსული თაობა იდგა და მაშინ ყოყმანი და კამათლის ყრა უდროო და შეუფერებელი იქნება; ან საქართველო გაიმარჯვებს და მის სათავეში ნამდვილი ქართული ძალა ჩადგება, რომელიც ერის ტრადიციებზედ, ერის კეთილ-დღეობაზედ აგებს თავის სოფლ-მხეობის აწ და ისევ ბნელი ძალები გაიმარჯვებენ და ვინც დღეს კიდევ მატარებელია ქართულ-ეროვნულ კულტურის, მაშინ მასაც მოაშორებენ მშობელ ერს, რათა მარქსისტული არა ჩვენს სხეულზედ ნაკლები წინააღმდეგობით ჩაატარდეს. დროა გამოვფხიზლდეთ და ზოგიერთი მავნე სხვა მხრითგან შემოტანილი თვისებები მოვიშოროთ, თორემ ღვთისწყალობა და თავის წყრომა ღვთის წყალობად მოგვეჩვენება. დროა ქართველი ახალგაზრდა არა მარტო წნიდა იდეით კმაყოფილდებოდეს, მან ვარდაწყვეტით უნდა შეიმუშაოს თავისი პოლიტიკური მრწამსი, რათა ამით ერთი წვეთი ჩაავდოს იმ ნაგუბარში, რომელიც ბოლოს აღელვებულ ეროვნულ ზღვად უნდა გარდაიქცეს! ორი მესამე არ არსებობს; ან ჩვენია მომავალი, ან ჩვენი მტრის და რომ ჩვენმა ტანჯულმა ერმა თავის ისტორიულ გეზსა და მიზანს კიდევ უნებურად არ გადაუხვიოს, ქართველ ახალგაზრდამაც თავის სახელოვან წინაპრების ნაცად გზას არ უნდა უღალატოს!

ჩვენი მიზანი გარკვეულია: იგი საქართველოთი იწყება, საქართველოთი თავდება და ჩვენც მუდამ მზადა ვართ მის კეთილ დღეობას მტლად დავედოთ; ჩვენ სხვა წმიდათ-წმიდა არასდროს გვყოლია. ქართველ მარქსისტებს კი უკეთესი ვერაფერი მოუნახავთ ინტერვენციის წინააღმდეგ პროტესტებს სწერენ და „იაპონიის იმპერიალიზმის ალაგმვა “-ს მოითხოვენ, რათა ნაზი აგებულება რუსულ მარქსიზმის არ შეირხეს.

დღესაც, როდესაც ერი განწირული თავსაკლავს ამ ლოზუნგით შემოთრეულ რუსს, როდესაც რჩეულმა ქართველობამ ჯებირებივით ამ იდეას თავისი მკერდი დააჩვედრა, დღესაც ქართველი მარქსისტები „ პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით “-ს გაიძახიან, მათ სხვა სანუგეშებელი ვერაფერი უთხრეს ქართველ ერს და ამით ამაყობენ.

სად არის მიჯნა « ქართულ მარქსიზმი »-ს და რუსულ ბოლშევიზმის? სად თავდება ერთი, სად იწყება მეორე? არც შინაარსი, არც მიზანი, არც საშუალება ამ ორი ძმის ერთი მეორისაგან არ განსხვავდება. ვისაც დღესაც ჰგონია, რომ მარქსიზმი ეს იდეალია ქართველი ერის, ვინც დღესაც ვერ გარკვეულა იმაში, თუ რა არის სამშობლო და მშობელი ერი, დეე, საითაც გულმა მოუწოდოს იქით წავიდეს, მაგრამ სირცხვილია, რომ იმ დროს, როდესაც ქართველი ერი თავის აღდგომას იდღესასწაულებს, ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა მოტყუებულნი გერებივით მარქსისტულ-სოციალისტურ ბანაკში იდგენ, რადგან მაშინ „ პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით “ ერთობ შეუფერებელი იქნება.

ა. გ.

## ღია წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო, გთხოვთ ეს წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთში უცვლელად დაბეჭდოთ.*)

« ქართველებო, ყველა კუთხისა, შეერთდით »!

« მუშებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით »!

« სიკვდილი მარქსიზმს »!..

ასეთი პაროლებით იწყებოდა ჩემი მოხსენება სათაურით: « ღია წერილი ბ. ნ. ჟორდანიას », რომლის საჯაროდ წაკითხვა სოციალ დემოკრატების ზედ-გავლენით ბერლინის კოლონიის გამგეობამ აკრძალა.

მიუხედავად გ. ნ. ჟორდანიას უშუალო აგენტის ს. კორძაიას მიერ სიკვდილით დამუქრებისა და განსაკუთრებით კი დ. სადირაშვილის მიერ ჩემზედ უსაზიზღრესი ძალ მომრეობით თავისუფალი ეროვნული აზროვნების აკრძალვისა, ტერორის ქვეშ დაყენებისა და ჩემ წინააღმდეგ მეგოგრების სადისტურად ამხედრებისა, მე კერძო თაოსნობით მაინც მოვიწვიე კრება და წავიკითხე წინააღმდეგ ნ. ჟორდანიას ჩეკისტებისა. ეს იყო მიმდინარე წლის თიბათვეში.

მოხსენებამ განსაკუთრებით ააშფოთა მენშევიკები, ხოლო დანარჩენ ყველას მიერ საერთოდ იქმნა მოწონებული. კრების თავმჯდომარემ ბ. შ. ქარუმიძემ კრების სახელით მადლობა გადამიხადა და გამოითქვა საზოგადო სურვილი მისი წიგნად გამოქვეყნებისა.

ჩემს მოხსენებას წინ წაუსწრო ბ. ლ. ახმეტელის მიერ მოწვეულმა კრებამ, რომელზედაც გამოტანილ იქმნა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ცნობილი რეზოლუცია.

დრო-გამოშვებით მოწვეულმა საზოგადო კრებებმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღეს. ადგილი ჰქონდა, თანახმად მისივე საჯარო განცხადებისა, მარქსისტული სულით ავადმყოფი დ. სადირაშვილის, ნ. ჟორდანიაზედ უკეთეს « სოციალ-დემოკრატის » უტიფარ და პროვოკატორულ გამოსვლებს, რომელსაც ჩვეულებრივი მარქსისტული სიბინძურით და ცილის წამებით დონკიხოტურად გაილაშქრა ზოგიერთების წინააღმდეგ.

სამი ათეული წლის ყოფილი მარქსისტი, მალიან კარგად ვიცნობ ამ სულიერ და გონებრივ მარქსისტულ ავადმყოფობას, რომელიც გამოიხატება თვითეული მარქსისტის არსებითად სულიერ და გონებრივ მონობაში და იმავ დროს უდრისეს რწმენაში, რომ ის ყველაზედ უკეთესი « მარქსისტია...

სამოქალაქო ომის და ძმათა-ხოცვის მარქსისტული პარტიები მსგავსად ომს აწარმოებენ. პარტიულ ოჯახში, რის გამო ისინი ბრძოლის პროცესში იძლევიან, იღლევიან და ჯგუფებად იქსაქსებიან...

ასე იყო ძველადაც, ასევეა ახლაც, უფრო გამწვავებული ემიგრანტული ცხოვრების პირობებში.

მარქსისტული ძმათა-ხოცვის ნიადაგზედ აღზრდილნი, ვითა გველეკი გველობას, ისე მარქსისტები მზადყოფნას და კბენას ვერ მოიშლიან.

უაღრესად დაჩაგრული და დევნილი ვიყავი ნ. ჟორდანიას ბრმა იარაღ ჩეკისტების მიერ თითქმის მთელი სიცოცხლე.

დამოუკიდებლობის დროს გურიის დღესასწაულზედ სხვებთან ერთად მეც ვიყავ მიწვეული გ. ჯუღელის მიერ. ჩვენებურად ჭიქით ხელში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ქართველობას ვუსურვე გაერთიანება, მშობა, ერთობა — სიყვარულის და თანასწორობის ნიადაგზედ, რამაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. ამის გამო ჩემს პირდაპირ მეჯლისში ნ. რამიშვილი თვალების გადმოკრიალებით დამემუქრა: « ი. ჭავჭავაძის ბედი არ ცდა აგიცდეს »!

გ. ნ. ჟორდანიას მარჯვენა ხელი თავისი თავ-ამწევლი, სადისტური და ბოროტი მარქსისტული პოლიტიკისათვის იქმნა მოკვეთილი მისივე ბარის-მეზობლის მიერ...

ახლაც სწორედ ასეთივე გაერთიანების მოწოდებისათვის კრებაზედ, სადირაშვილი მკლავს, აზროვნებას, ლაპარაკს მიკრძალავს!

მსოფლ მსედველობა გამომეცვალა, აღარა მწამს მარქსიზმი, მით უმეტეს მისი სტალინისტური მოციქული ბ. ნ. ჟორდანია. ჩემის ნებით გამოვედი პარტიიდგან და ამისთვის მსგავსად ბოლშევიკებისა მკლავენ. მოღალატედ მაცხადებენ, რომ ამით თავისი ნამდვილი მოღალატეობა დაფარონ. « ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალი », ასე იცოდა და იცის ბ. ნ. ჟორდანიამ, რომლის პირადმა და პარტიულმა პოლიტიკამ, რომელმაც ბოლშევიკური ხასიათი იმ თავითვე მიიღო, სტალინთან ერთად მოღალატურად საქართველო დაღუპა, გაანადგურა...

მსგავსად ბოლშევიკებისა, ეს ჩეკისტებიც მხოლოდ ნ. ჟორდანიასათვის და პირადი ინტერესებისათვის ბრმაყრუთ იბრძვიან, — ნ. ჟორდანიასათვის, რომელიც თავი და თავია, რადგანაც მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც კი მისი ცილის მწამებლური და ძმათა სისხლის პოლიტიკის გარშემო ბრუნავენ.

საქართველო, ერის მთლიანობა, ვის ახსოვს? წყალსაც წაუღია...

თავი და თავია... დიდი ნოვე « მეცნიერი », ევროპის ჭკუის მასწავლებელი.

სულიერი მონობა, გონებრივი მარქსისტული სიბეცე და სიბრიყვე აქაზედ ქვეკით ვეღარ წავა... თავისუფლება ძმათა ხოცვისა მარქსისტებს; სხვებს ტყვია, მონობა და სიმშილი... იგივ პირწავარდნილი ბოლშევიზმი...

ჯერ ჩვენს ოპოზიციონერს ჯგუფში, როგორც მუდმივი ოპოზიციონერი, ვიბრძოდი ნ. ჟორდანიას ცილისმწამებლური, ბოროტი და დამღუპავი პოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით 1924 წ. აჯანყების შემდეგ, თვით ამ აჯანყებისა, ი. ვერცხლისა და ბოლოს ლ. ახმეტელის და გარეკილი კონფერენციის გამო.

გერმანიის გრანდიოზულმა რევოლუციამაც ამიხილა გონების თვალი და დავინახე. მარქსიზმის უტოპისტობასთან ერთად როგორც ბოლშევიზმის, ისე მენშევიზმის და მისი მატარებელი ბ. ნ. ჟორდანიას პოლიტიკის დამღუპველობა ერისათვის.

ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა, რომელმაც სასწაულები მოახდინა და კვლავაც ახდენს ერის გაერთიანების და ამაღლების პოლიტიკით, მიკიჩნია ერთად-ერთ გამოსა-

*) ვბეჭდავთ მხოლოდ მცირე შემოკლების შემდეგ. რედ.

გალად და უფრო საჭიროდ მით უმეტეს პატარა ქართველი ერისათვის, რომელიც იბრძვის საარსებოდ მეტად რთულ პირობებში.

აი, ამ ახალი იდეოლოგიის ნიადაგზედ მდგომს მინდოდა საზოგადოდ ანტიმარქსისტული ბრძოლის ფრონტის გახსნა, რისთვისაც პირველ ყოვლისა საჭირო იყო გ. ნ. ჟორდანიას ჟანგრძლივი ანტიეროვნული პოლიტიკის დაგმობა, მის აუარებელ შეცდომათა და გოროტმოქმედებათა ფაქტიური ისტორიული მასალის მიხედვით.

მოხსენების წერის დროსავე ჩვენს ხუთ-კაციან ჯგუფში მოხდა დიდი შეხლა-შემოხლა. ჩვენი თავმჯდომარე ბ. საღირაშვილი შხამიანი გველივით შემომეხვია თავისუფალი აზროვნოვნისა, და მოხსენების ბოლოში შემდეგი სიტყვების გამო: « ამჟამავალი ეროვნული მზე სტალინის ვარსკვლავთან ერთად ჟორდანიას ვარსკვლავსაც ჩააქრობს » მეთქი. ჩემსავე სახლში სული ისე ამიმწარა, როგორც მთელ ჩემ სიცოცხლეში არ გამიწარებია! ჩეკისტის ბოროტება ცხადი შეიქმნა!

აღმოჩნდა, რომ ამ თვეს იმაქც ოპოზიციონერს მჭიდრო კავშირი ჰქონოდა ნ. ჟორდანიას პირდაპირ აგენტ ს. კორმაიასთან, რომელმაც ის ალესა და მოხიხია. ცილისწამების ტალახი და შ ამი გადმომანთხიეს. ასე იცის და იცოდა ნ. ჟორდანიამ და მისმა აგენტურამ.

ჩვენი ჯგუფი აფეთქდა. მე და კირილე ვაკუა ეროვნულ ნიადაგზე დავდექით, ხოლო ბ. საღირაშვილს მიემხრენ ლ. ახმეტელი და ვ. გუკნიაშვილი. საზოგადო მდგომარეობაც გართულდა.

ბოლშევიკებისავით გონება დახშულ და გულ ვიწრო აქაურ მენშევიკებს მოულოდნელ « მოღალატეოგად » მიაჩნიათ ჩემი მსოფლ-მხედველობის გამოცვლა, რაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია პირადად ჩემთვის და მათთვისაც, ვინც დაახლოვებით მიცნობს. ვიყავი ლ. დარჩიაშვილის ეროვნულ ოპოზიციაში, « ალიონელთა » ჯგუფში, « ხნივლებში » და ბოლოს ი. წერეთლის ოპოზიციაში. ჩემი გერმანული ბროშურაც, რის გულისათვისაც გერმანელ სოციალ-დემოკრატებთან მწარე ბრძოლა გადამხდა, მოწმობს, რომ მისი სული, შინაარსი და დედა-აზრი არის ეროვნულ-პატრიოტული. ასე იმიტომ, რომ მწამდა მარქსიზმით ერის გაბედნიერება.

ხოლო რუსეთის, საქართველოს და განსაკუთრებით კი გერმანიის სინამდვილემ სულ სხვა დამიმტკიცეს. დაკვირებამ დამანახა და დამარწმუნა, რომ ბოლშევიზმთან ერთად მენშევიზმიც იგივე დაუსრულებელი ძმათა ომის პოლიტიკა ყოფილა, რომლის შედეგი არის ეროვნული ძალების დაქსაქსვა და არა მათი გაერთიანება.

მარქსიზმის « მეცნიერება » სინამდვილეში გამოიხატა საბჭოთა რუსეთის და საქართველოს უსაშინელეს ჯოჯოხეთის სახით, ხალხთა ჟლეტით.

რუსეთის და საქართველოს უმაგალითო ტრაღედიის მიზეზია ის გარემოება, რომ რევოლუციამ ასეთი « მეცნიერული სოციალისტური » ხასიათი მიიღო და არა საჭირო ეროვნულ განმათავისუფლებელი, ეროვნების და ეროვნებათა გამაერთიანებელი.

ყოფილ ჩემ მეგობრებს ეს ვერ გაუგიათ. კვლავ ჩვეულებრივად ძველი ხურჯინივით გადაჰკიდებიან ებრაელ მარქსის მატერიალისტურ სისხლიან « კონცეპციას », ე. ი. კლასთა ბრძოლას, ძმათა ომს, რომელმაც სხვა ერებთან ერთად განსაკუთრებით ჩვენ დაგვღუპა. ამასვე უმზადებდა ის გერმანიას, რომ ამ კულტურული ერის თვითშეგნებას და ეროვნულ გენიას ადოლფ ჰიტლერს დროზედ არ გადაერჩინა გერმანიაც და მთელი ევროპაც ბოლშევიზმისაგან.

პირადად მე გერმანიის მაგალითმა ცხადად დამანახა მარქსიზმის საშინელი დამღუპავი უტოპიზმი, რომლის მორიგება და შეთავსება ეროვნულ-სოციალისტურ იდეოლოგიასთან შეუძლებელია.

ბ. ნ. ჟორდანია და ყველა ქართველი სოციალ-დემოკრატები კი თვალთმაქცური « მეცნიერებით » შეუთავსებელს ათავსებენ. ერთსა და იმავე დროს ქართველი « პატრიოტებიც » არიან და მარქსიზმის ძმათა ომის მაღიარებელნიც. ეროვნული პატრიოტიზმი ერის გამაჯანსაღებელი, გამაერთიანებელია; ხოლო მარქსისტული მოძღვრება ეროვნული ორგანიზმის დამშლელი და განმანადგურებელი. ეროვნული იდეოლოგია აერთებს; მარქსისტული კი ანაწილებს, ქსაქსავს, ანადგურებს, რასაც ინდუსტრიალურმა გერმანიამ თავი დააღწია, ეროვნულად გაერთიანდა, გამთლიანდა.

ბ. ნ. ჟორდანიას უდიდესი ისტორიული დანაშაული გამოიხატება იმაში, რომ მან სოფლის წვრილი მეურნეობის ქლეხთა ქვეყანა საქართველოში მაზინჯურად დაამყნო და გაავრცელა სრულიად უნიადაგო, უტოპისტური და ძმათა ჟლეტის მოძღვრება « მეცნიერების » სახით, რომელმაც დასაწყისი მისცა მის სტალინისტურ მრავალ დანაშაულობათა და ბოროტებათა განუწყვეტელ ჯაჭვს... მარქსიზმისათვის... « მეცნიერებისათვის...

აქედან წარმოსდგა მისი და ჩვენი ტრაღი-კომიკურ მდგომარეობა: ვიყავით და არიან ახლაც ქართველი სოციალ-დემოკრატები პატრიოტებიც, ე. ი. გამაერთიანებელნი და იმავე დროს « მეცნიერი » მარქსისტებიც, ე. ი. მისი დამარღვეველ-გამანადგურებელნიც!

დიდი ნოვე ყვენი, ერთსა და იმავე დროს « გულადიც » არის ერისა... და მტერიცა!

აი ასეთი « მეცნიერული » ყალთაბანდობითგან, ორჭოფობითგან და ფარისევლობითგან შომდინარეობდა და მომდინარეობს ის აუარებელი წინააღმდეგობა და ბოროტმოქმედება, რომელიც მას მიუძღვის ერის წინაშე.

ჩემი ურღმესი რწმენით ნ. ჟორდანია თავისი ასეთი « კონცეპცია-კომბინაციებით » თავისუფალ საქართველოს ხელ-მეორედაც დაღუპავს!.. 1)

ამიტომაც როგორც ერთი ჯარის-კაცი განმათავისუფლებელი ბრძოლისა, ვებრძვი მის ასეთს ორჭოფ დამღუპავ პოლიტიკას, რომელმაც მის პარტიაშიც, პარტიათა შორის და ერის ცხოვრებაშიც დაუსრულებელი ნგრევა შეიტანა, რითაც ქართველი ერი დაასუსტა, დაამცირა, შეარცხვინა.

ეს ერთი წინააღმდეგობა, გაურკვევლობა და წაჯეჯ უკუჯაქოგა ქართველი სოციალ-დემოკრატებისა, თვით ბ. ჟორდანიას გაურკვევლობისა გამო.

---

1) ღმერთმა არ მოასწროს! ამწყობი.

მეორე. — მისმა და ბ. ა. ასათიანის თვალთმაქცურმა მეტისმეტმა ყვარებობამ, გუშინ საჯაროდ ლანძღვა-გინებამ, დღეს საკენკისა გამო ტრფობა-სიყვარულმა წარმოშვა ერის დამამცირებელი თაღლითური ფრონტი, რომელიც არც მათა სწამთ, არც სხვას. მისი აფეთქება მუდამაა მოსალოდნელი.

ბ. ნ. ჟორდანია მართლა « მეცნიერული » პოლიტიკოსია, როგორცა ხედავთ, რომლის ბრძოლის ფრონტებს, როგორც თავის პარტიაში, ისე პარტიათა შორის, როგორც მოეპრიანება, ისე სჭრის და ჰკერავს; როგორც სტალინი, ისიც სრულიად თვითნებურად « ექსპერიმენტებს » ახდენს ქართველი ერის ცოცხალ სხეულზედ.

მისმა « პოლიტიკურმა » სიელოვნებამ იქამდისაც კი მიაწია, რომ სოციალ-დემოკრატები დღეს თავს ინახავენ გერმანიაში ჰიტლერის ფაშიზმის ფრთებ ქვეშ იმ ფარული იმედით, რომ დრო მოიგონ; მათი რწმენით ბოლშევიზმთას ერთად ფაშიზმიც მოისპობა, ნ. ჟორდანიას დემოკრატიული საქართველო აღსდგება და .. ქართველ ფაშისტებს მაშინ იქ გაუსწორდებიან!.. გაუსწორდებიან ჩეკისტ საღირაშვილების ხელით!

მენშევიკური მარქსისტულ-მენშევიკური ანგარიშებია მომავალი თავისუფალი საქართველო ბოლშევიკებთან ერთად ნ. ჟორდანიას და მის პარტიასაც სასტიკად გაასამართლებს იმ სააგიტაციო დამღუპავ აჯანყებებისა და პოლიტიკისა გამო, რომელმაც უდიდესი უბედურება მას თავს დაატეხა.

ბოლშევიკ ჩეკისტებთან ერთად გაასამართლებს იმ მენშევიკებსაც, რომლებიც გუშინ ნ. ჟორდანიას ებრძოდნენ, დღეს მას მასზედ უკეთესად იცავენ, ხოლო ხვალ თავისუფალ საქართველოში კვლავ ტვარდიის ხელმძღვანელები შეიქმნებიან ნ. ჟორდანიას « მეცნიერული » პოლიტიკით და ირემაშვილებს, « სამშობლოსა და ერის მოღალატეებს », მიახვრეტავენ! ფაშიზმსაც გაანადგურებენ!

მაგონდება ილიას « ქვათა ღაღადი » და შოვინისტი ჩამოთესლებული სომხების პოლიტიკა საქართველოში, რომელთა მთამომავლობაც, როგორც « მეცნიერი » მარქსისტები სტალინის ბრძანებით სისტემატიურად ანადგურებენ ქართველობას. აი სწორედ ასეთივე « მეცნიერი » მარქსისტი ბ. საღირაშვილი, ჟორდანიაზედ უკეთესობას მით დაამტკიცებს, რომ ქართველ ფაშისტებს მისი ბრძანებით გაანადგურებს. მარქსიზმის « მეცნიერობა » ხალხთა ჟლეტის წყაროდ აღმოჩნდა.

საქართველო ჩალით დახურული ჰგონიათ ამ წურბელა-პარაზიტებს, ხოლო ქართველი ერი « ტუტუც ვირაცთა » ერი, რომელიც მათ ისევე ძველებურად აპარპაშებს!

აი, რა უნდა მოვახსენო საღირაშვილებს და ყველა მის ეოსარჩლე სოციალ დემოკრატებს: ტყავში დაეტივნენ, ნუ ფაფხურობენ და ჭიაყელასავით ნუ იმაგრებიან, თორემ მათ ერთი ასად ცუდი დღე დაადგებათ, ვიდრე სხვას უმზადებენ.

კარგა იქნება ყველა სოციალ-დემოკრატისა ვისაც და ერისათვისაც ახლავე დროზედ მიხვდნენ იმას, რომ მარქსიზმს, ბოლშევიზმ-მენშევიზმს, ნ. ჟორდანიას და ბოლშევიკ-ოპოზიციასაც ყველას ერთად ისტორიული წირვა გამოუვიდათ.

ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა ყველგან, განსაკუთრებით კი მარქსისტული აგადმყოფობით შეპყრობილ ერებში გაიმარჯვებს, რომელიც წალეკავს ყველას და ყველაფერს, რაც და ვინც ერის გაერთიანებას გადაეღობება.

ამიტომაც საქართველოში არა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ მსგავსად გერმანიისა ეროვნული სახელმწიფო აღმოცენდება, რომელსაც თავისი ჰიტლერიც გამოუჩნდება და მწიფე ხელით და გენიალური თავით ერის ცხოვრებას ეროვნულ ნიადაგზედ დაამყარებს, არა სისხლიან მარქსიზმის ნაცად დამღუპავ ძმათა ომის საფუძველზედ.

ქართველი ერი ისტორიულადაც და კულტურულადაც უაღრესად ფაშისტური ერია; როგორც გლეხური ქვეყანა, ის უაღრესი მოსიყვარულეა სამშობლოს მიწა წყლისა, მისი « ხმლით ხურმუხტისა », რომელიც ყველგან მამა-პაპათა სისხლით არის მორწყული.

გერმანიის მაგალითს, გენიალურ ეროვნულს, ყველაზედ დრე და ყველაზედ უკეთესად ქართველი ერი გადიღებს, გაქმოიყენებს და მეზობელ ერებსაც გამოაყენებს.

მე მრწამდა და ახლაც მრწამს, რომ ქართველი ერი სულით ძლიერი და ნიჭიერი ერია, რომელიც, მსგავსად გერმანიის და სხვა კულტურული ერებისა, თავის ეროვნულ ისტორიას სახელოვანი გმირების საშუალებით სახელოვანად ქმნიდა, და არა ისეთ მახინჯ სამარცხვინო ძმათა ხოცვა ჟლეტის დამღუპავ ისტორიას, როგორც ბ. ნ. ჟორდანიამ შექმნა.

როგორც სტალინს, ისე ჟორდანიასაც არც მელად და არც ახლა სწამთ მშობელი ერი, რომელიც მათთვის მხოლოდ ცოცხალი მასალაა მარქსისტული « მეცნიერული » გაბილონის გოდოლების ასაშენებლად, რომელთაც ისინი ცალი ხელით აშენებენ, ცალით კიდევ ანგრევენ, ანადგურებენ!

მათთვის სამშობლოც და ერიც საზიზღარია წარსულითაც და აწმყოთიც. მარქსიზმი და მათი დიქტატორული და დესპოტური პიროვნება კი — ყველაფერი.

ბ. ნ. ჟორდანიას პოლიტიკა იყო და არის არსებითად ანტიეროვნული. თვით დამოუკიდებლობაც კი მისი პირადი აზრის და სურვილის წინააღმდეგ ქართველთ ეროვნულ შეგნებამ და ისტორიამ მოახვია მას თავზედ.

ამიტომაცაა, რომ ის მახინჯი მარქსისტული ქონდრის კაცი სხვა ერის გმირსაც, ბუმბერაზს, სულიერად ქართველ ილიას, ებრძვის და დასცინის: « აფსუს ვეღარ ის გერმანიავო »! ის ახლაც სრულიად ვერა ხედავს უდიდეს განსხვავებას და უაღრეს უპირატესობას ჰიტლერის გერმანიისა ებერტის გერმანიასთან შედარებით. ებერტის გერმანია იყო სამოქალაქო ომის ქაოსი, პარტიათა და ძმათა ომის ასპარეზი, რომელიც ლოღიკურად ბოლშევიზმისაკენ ისევე მიექანებოდა, როგორც « აფსუსი » ნ. ჟორდანიას დემოკრატიული, ანარქიული და ქაოტიური საქართველოც. ჰიტლერის გერმანია ერთი მთლიანი ეროვნულ სახელმწიფო ორგანიზაციაა, ერთი თავით, ერთი გულით და ერთი ნების ყოფით, რომელსაც ძმათა ხოცვის მოტრფიალე ნოვაჟი ვერას დროს სისწორით ვერ გაიგებენ და ვერც სწორედ დააფასებენ, სწორედ ისევე, როგორც მათ დიდი ილიაც ვერ გაიგეს. ძმათა მკვლელები და ცილის მწამებლები, რომელთაც კუთხური პოლიტიკურობით შებღალეს და შეარცხვინეს ქართველი რაინდული ერი, ის ერი, რომელმაც შექმნა უმაღლესი **ეროვნული მორალი, ეროვნული პატიოსნება, ეროვნული სულიერი საუნჯე, ეროვნული დიდება და სინიდისი.**

ხემოდ ნათქვამის დამამტკიცებელია მთელი პირადული და პარტიული დამარღვეველი პოლიტიკა ნ. ჟორდანიასი, რომელიც მე ისტორიული ფაქტიური მასალის მიხედვით საკადრისად დავახასიათე და დავაფასე, [illegible] რდნილი სტალინისტურ-ბოლშევიკური.

გამწარებული სულის მეტი ადგილი [illegible] მართლისათვის დღე ესეც შეიწირონ ამ ძმათა მკვლელ ბოროტმოქმედებმა, რომელთაც ახალგაზრდობითგანვე შიგნითვე უსასტიკესად ვებრძოდი სწორედ ამ კაცისმკვლელობისათვის. მახსოვს, საიდუმლო კრება, რომელზედაც ი. ევდოშვილის საკითხი იდგა: მე და ვ. ცაბაძის სასტიკი წინააღმდეგობა რომ არა ყოფილიყო, ის მოკლული იქნებოდა.

თავგანწირული ვიბრძოდი პარტიული ძმობა-ერთობა-სიყვარულისათვის, რომლის პარტიის ნიადაგთან საერთო ეროვნულ ნიადაგზედ გადატანასა ვცდილობდი. მწამდა მარქსიზმი და ნ. ჟორდანიას ვენდობოდი.

გავშობის და ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის, შემდეგ მტრის და მოღალატურად სამშობლოს გამანადგურებელი სტალინის მიერ გამოწყვდილი, მშობელი ერის სისხლით გასვრილი ხელი თბილისში ავირიდე, რისთვისაც სამშობლოსთან ერთად დავკარგე ყველაფერი ძვირფასესი რაც კი გამაჩნდა. და ახლა აქ გამოძევებულმა თავიც უნდა დავკარგო იმისათვის, რომ... სინამდვილემ დაიმტკიცა მარქსიზმის მავნებლობა-დამღუპველობა და ეროვნულ-სოციალისტური იდეოლოგიის უაღრესი სარგებლიანობა და მართლაც მეცნიერება!?

სანამ მარქსიზმი მწამდა, ეროვნული პატრიოტი, პარტიული პატრიოტიც კი ვიყავი; მოწმეა მთელი ჩემი წარსული, გინდაც ჩემი გერმანული ბროშიურა: « სტალინი და ტრაღედია საქართველოსი », რომლის დაწერამ და გამოცემამ დამარწმუნა, რომ გერმანიის ს. დ. პარტიის წარმომადგენლობა მატერიალური და არა იდეური ინტერესებისათვის იბრძოდა. გერმანიის სინამდვილემ, საოცარმა და საკვირველმა ეროვნულმა რევოლუციამ გადამარწმუნა. აღარა მწამს მარქსიზმი, მით უმეტეს ნ. ჟორდანია და მისი დამქაშები.

ყოფილი ჩემი მეგობრები და ამხანაგები ნუ იფიქრებენ, რომ მეც მათებურად სასიკვდილო წასისი ნებით ვემუქრებოდე, ძმათა შორის სისხლის ღვრას მათსავით ვქადაგობდე. ეს არ იქნება სწორი და მიზანშეწონილი ჩვენი ეროვნული გაერთიანებისათვის. ძმათა მკვლელობისაგან მეც და სხვაც ღმერთმა დაგვიფაროს არც ვიყავ, არც ვიქნები.

მაგრამ ახსნა-ჩაგონებასთან ერთად გაუსწორებული ბოროტი სულების წინააღმდეგ ისეთი საგრძნობი მკაცრი ბრძოლის მეთოდებია საჭირო, რომელიც მათ კაცი ჭამია, მარქსიზმს დაავიწყებს და სამშობლოს და ქართველი ერის გამთლიანების საჭიროებას აგრძნობინებს.

ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის და მომავალი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აგებისათვის მე პირადად საჭიროდ მიმაჩნია პირველ-ყოვლისა ისტორიულად სასიკვდილოდ განწირული, ცხრად დაყოფილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ნ. ჟორდანიას მთავრობის ლიკვიდაცია, რითაც თავის თავად ლიკვიდაცია მოხდება სხვა ეგოისტური კლასიური პარტიებსაც, გერმანული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მსგავსად ქართული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაარსება, მისი გაძლიერება და ამ ნიადაგზედ ყველა ჩვენთაგანის აქ და იქ. სამშობლოში, მთელი ქართველი ერის გაერთიანება.

მე მწამს, რომ ეს ასეც მოხდება, იმიტომ რომ ქართველი ერი ბუნებით ნიჭიერი, სულით ძალალი და გაუტეხავი ერია ქართველობის თავდადებული გმირული ბრძოლა, საყოველთაოდ ცნობილი, სწრაფად ეროვნულ გამაერთიანებელ ეროვნულ ბრძოლად გადიქცევა გერმანიის და სხვათა მაგალითების მიხედვით.

პირადად საჭიროდ მიმაჩნია აქვე, დროზედ, ყველა ჩვენთაგანის ამ უაღრესად საჭირო და სასარგებლო ნაციონალ-სოციალისტურ პარტიად გაერთიანება, რომ მოსალოდნელ აუცილებელ დანკრევას საჭიროებისას გაერთიანებულნი მზად დავხვდეთ.

ნ. ჟორდანიას მარქსიზმმა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერის გამაერთიანებელი სულიერი კულტურა და მისი ცოცხალი ეროვნული ორგანიზმი დაფლითა, დაადამბლავა და დიდ რევოლუციას დაშლილ-დარღვეული დაგვახვედრა.

სულ სხვა იქნებოდა, ილიას გამაერთიანებელი ეროვნული პოლიტიკა, მოხვის მიერ ლაკონიურად გამოთქმული, ჩვენი თავის, არა მარქსზედ, არამედ საკუთარ ეროვნულ თავზედ დაყრდნობისა, რომ გაგრძელებული ყო.

ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია საერთო ემიგრანტული კონფერენციების მოწვევა, სადაც მარქსისტულ პარტიასთან ერთად მთავრობის ლიკვიდაციაც მშვიდობიანად უნდა იქნას მოხდენილი. საჭირო იქნება ერთი საყოველთაო გამაერთიანებელი ეროვნული კომიტეტი, რომელიც შესაფერისი პროპაგანდით განმათავისუფლებელ ბრძოლას და ემიგრაციას გაუძღვება.

ერთი ქართველი ერი ერთ ნაციონალ-სოციალისტურ პარტიად უნდა გაერთიანდეს და გაერთიანდება კიდეც მომავალში. არსებობისათვის შრომის და ბრძოლის წარმოება მასაც ეროვნულ მწყობრ გაერთიანებას უკარნახებს, შეამლებინებს, განახორციელებინებს.

ხოლო სტალინ-ჯუღაშვილთან ერთად მოძავლი თავისუფალი და გაერთიანებული ქართველი ერი ქვეყნის დამღუპველად აღიარებს ბ. ნ. ჟორდანიასაც მთელი მისი გამანადგურებელი, უაღრესად უკუნური და ბოროტი პოლიტიკის გამო, რომელმაც ქართველი ერი დაარღვია, დამალა, დაამცირა, გაანადგურა. ქართველი ერი მოშევიზმთან ერთად ბ. ნ. ჟორდანიას მენშევიზმსაც დაადებს დიდ ლოდს ზედწარწერით: « აქა განისვენებს ქართველი ერის მთლიანობის მესისხლე მტერი, მარქსიზმი ბ. ნ. ჟორდანიასი ».

სტალინთან ერთად მასაც სძულდა, სძულს, სდევნიდა, სდევნის, ჰკლავდა და ჰკლავს მრავალ ქართველ პატრიოტს, ერთიც და მეორეც არსებითად ერის მტრები იყვნენ და არიან: — ღვარძლიანი მარქსიზმისათვის, ძმათა სისხლით გასვრილი « **ინტერნაციონალური მეცნიერული სოციალიზმისთვისა ».**

ბ-ნ ნ. ჟორდანიამ სტალინსავით თავისი კუთხური პოლიტიკურ ისტერიულ ცილისწამების იმ სათავედ გადაიქცია, საიდანაც არა მხოლოდ ევროპელები კერძო პიროვნებათა გამათახსირებელი შხამი, არამედ ქართველი ერის უაღრესად დამამცირებელი ბოროტება მომდინარეობს. ნ. ჟორდანია ქართველი ერის ცილისმწამებელია.

ხალხი ამ მისივე პოემიურ «ვეფხის-ტყაოსანი», რაზედაც სიტყვა სიტყვით სწერია: «ქართველ ერა რელიგიურ საზოგადოებას სავსებით მგუება ქართული არა-რელიგიური პოემა და რა გასაკვირია ის მას შეეყვარებია და თავის გულის სიღრმეში საუკუნოების განმავლობაში ატარებია». (გვ. 76).

ნ. ჟორდანიას მტკიცებით ქართველი საზოგადოება მეთორმეტე საუკუნეში არა-რელიგიური, ე. ი. ურწმუნო, სარწმუნოების არა მქონე ყოფილა და ზწორედ ამისათვის და ამის გამო პოემაც არა-რელიგიურია, ურწმუნოა, ათეისტურია. და აი სწორედ ასეთი ურწმუნო ხასიათისა გამო ურწმუნოსავე ერს შეუყვარებია ის და თავის გულის სიღრმეში საუკუნოების განმავლობაში უტარებია.

ამ ამონაწერის ცამდის მოღაღადე, აშკარაზედ აშკარა სიცრუე და ცილისწამება ქართველი ერისა განათლებული კაცობრიობის წინაშე ცხადზედ ცხადი და ნათელზედ ნათელია ყველა ჭკვათა მყოფი ქართველისათვის და მათთვისაც, ვინც საქართველოს ხალხს და მის ისტორიას გინდაც ზერელედ იცნობს.

ასეთ უკნაურ სიცრუეს და უსაზიზღრეს ცილისწამებას მხოლოდ ... ქრისტიანულ კულტურის პატრონ ერისას მხოლოდ კობა-სტალინი მოაწერს ხელს, რომელმაც ნ. ჟორდანიას ვით ხულ «მეცნიერულად» იცის ყველაფერი და რომელმაც მას ერთად ქართული ეკლესიები გაძარცვა და თანაც დაარღვია.

მაღლის თავიც სწორედ აქ გახლავთ ჩამარხული... ორივე ბოროტმოქმედი ათეისტები ხელთქმნილ ტაძრებთან ერთად ქართველი ერის ქრისტიანულ-კულტურულ ხელთუქმნელ სულიერ ტაძარსაც სცარცვავენ საქვეყნოდ გაუგონარი ცილისწამებით.

აი რატომ და რისთვის იზარჯება ქართველი ერის და მგოსნების ქონება! — ქართველი ერის სახელი და დიდება იძარცვება, იყიდება... მარქსიზმის «მეცნიერული სოციალიზმისათვის».

სიკვდილი, ათასჯერ სიკვდილი ნ. ჟორდანიას ასეთ მარქსიზმს.

სიცოცხლე, ჯმარული რაინდული სახელი, დიდება და გამარჯვება ქართველ ერს, რომელიც თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში თავისი უაღრესად ქრისტიანულ-ეროვნული კულტურის საუნჯისათვის სისხლსა ღვრიდა... დიდება ჩვენსა სამშობლოს,

სიკვდილი მარქსიზმს!

გაუმარჯოს ძლიერ ქართულ ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას; პარტიას ქრისტიანული, ადამიანური, პატრიოტული სიყვარულისას.

«ძმობას, ერთობას, სიყვარულს ტახტი დაუდგათ ქვეყანი»... ეს ხალხური სიმღერა იყო უაღრესად გაადამიანებელი და გამკეთილშობილებელი, ქრისტიანულ-ეროვნული და რევოლუციონურიც.

ჩამორჩენილ უკულტურო რუსეთში კი მატერიალისტურ განდიტურმა მარქსიზმმა უფრო გააველურა ადამიანიც და საზოგადოებაც და უსამინდლეს მონობასთან ერთად წარმოშვა უსახარლესი ხალხთა ძოცვავი სისხლიანი საბჭოთა სისტემა. მატერიალისტური მარქსიზმი თავისი მკაცთა ომის «კონცეპციით» გაუგონარ სიველურედ გადიქცა.

ამიტომაც ევროპის ქრისტიანულ-კულტურულ ერებმა გაინთავისუფლეს და ინთავისუფლებენ თავს ასეთი ჯოჯოხეთის და სიველურის წარმომშობ მარქსიზმისაგან, რასაც ჩვენც უნდა წავბაძოთ, როგორც უძველესმა ერმა თავისებური უმაღლესი ქრისტიანულ-ეროვნული კულტურით.

აი, ასეთი ეროვნული სულით აღფრთოვანებული და გაახალგაზრდავებული თავისუფალი და გაერთიანებული საქართველო იგულისხმებოდა გ, ნ. ჟორდანიას მხამ-გესლიანი მარქსიზმის მოკლულ დიდი ილიას მახილშიც:

« მესმის, მესმის სანატრელი
« ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
« სიმართლის ხმა ქვეყნათა ჰქუხს
« დასათრგუნათ მონობისა...

« აღმიტაცებს ზოლმე ეს ხმა
« და აღმინთებს იმედს გულში;
« ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი
« გამაგონე ჩემს მამულში...

გაუმარჯოს თავისუფალ გაერთიანებულ საქართველოს.
სიკვდილი ველურ მარქსიზმს.

უკვდავ სამშობლოს, უკვდავ სამოთხე საქართველოს გაუმარჯოს.

ბერლინი. იოსებ ირემაშვილი.

## კორპორაცია სინამდვილეა

ფაშისტური სახელმწიფო იგივე კორპორატიული სახელმწიფოა. ყველამ უწყის თუ დღეს მთელ მსოფლიოში როგორი სისწრაფით ვრცელდება ფაშისტური კორპორაციების იდეა. ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოდგენს ამ მხრივ შვეიცარია. აქ მოგვყავს ერთი ცნობა, რომელიც დაბეჭდილი იყო დემოკრატიულ გაზეთში „Journal de Genève"-ის 14 ოქტომბრის ნომერში. რედ.

მშვენიერ მანიფესტაციას ჰქონდა ადგილი, გუშინ საღამოს ცენტრალურ დარბაზში. ჟენევის კორპორაციების ფედერაციის მფარველობის ქვეშ. დარბაზი სავსე იყო და აღფრთოვანებული გამოძახილი, რომელიც ჰპოვეს კორპორატიულ დაჯგუფებათა წარმომადგენლების მოხსენებებმა, ნათელი გახადა ის თანდათანობით დიდი თანაგრძნობა, რომლითაც სარგებლობს კორპორაციის იდეია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბ. შენო, მუშა დურგალი, ჟენევის ფედერაციის ხელოსანთა საბჭოს თავმჯდომარე 1933 წლისათვის. მეტად ღრმა რწმენით წარმოთქმულ სიტყვაში ბ. შენომ ქება შეასხა კორპორაციას, რომელიც ნაყოფია დამქირავებულთა და მუშათა წრეებითგან გამოსულ კეთილი ნებისყოფის მატარებელ ადამიანთა დაუღალავი ენერგიისა. კორპორაცია ოჯახის გადანერგვაა ხელოსნობაში და იგი უშვებს თავისუფალი სინდიკატის არსებობას განწესრიგებულ პროფესიაში. მხოლოდ მას შეუძლია სოციალური მშვიდობიანობის დამყარება კლასთა ბრძოლის საზიზღროების, საყოველთაო თანამშრომლობით შესაცვლელად.

შემდგომ მხურვალე მოწოდებისა, პროფესიონალურ ორგანიზაციების სასარგებლოდ, საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მოუსმინა ბე-ტის მშრომელთა კორპორაციის თავმჯდომარეს ბ. რუფის, რომელმაც სახელდობრ გაიხსენა პარიტარულ სალაროს დაარსება, უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, საოჯახო დახმარების სალარო, ადგილებზე მოწყობის ორგანოები, ყველა პროფესიებს უდიდეს სამსახურს რომ უწევენ.

ბ. რევერდენმა, ხუროთმოძღვარმა, მუშა-აღმშენებელთა კორპორაციისა, რომელიც დღეს ითვლის 4100 წევრზე მეტს, აღნიშნა ის მზრუნველობა, რომელსაც პროფესიონალური საბჭო იჩენს სოციალურ საქმიანობისა, მოწაფე-ხელოსანთა მომზადებისა და შრომის კონფლიქტების მოგვარების საქმეში. საამაყო შედეგებს არიან მიღწეულნი.

ბ. ბოსონმა, სურსათ-სანოვაგის მშრომელთა კორპორაციის სახელით, ამცნო საზოგადოებას ის უპირატესობანი, რომელნიც მოიპოვეს მისი დაჯგუფების წევრ მუშებმა: შვებულების ვადა, მინიმალურად 50 0/0 ჯამაგირი სამხედრო სამსახურის განმავლობაში.

ბ, ანრიმ, უფროს მხარეულმა, ილაპარაკა სასტუმროების მუშა-ხელთა და პატრონთა ახლად დაარსებულ კორპორაციაზედ, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში გააორკეცა თავის წევრთა რიცხვი, აქტიურ მონაწილეობას იღებს შრომის რეგლამენტაციის საქმეში ამ პროფესიის სხვადასხვა შტოებში და მექმნა დაზღვევა უმუშევრობის წინააღმდეგ.

ბ. ბოშემ, საქსოვ-სამკერვალო წარმოებათა კორპორაციის თავმჯდომარემ, მეტად დიდი წარმატებით ილაპარაკა იმ კეთილ თანხმობაზედ, რომელიც სუფევს ამ პროფესიონალურ ორგანიზაციაში- შემავალ სამოციოდე პატრონსა და 1100 მუშა-მოსამსახურეთა შორის. არამც თუ მარტო საოჯახო დახმარების სალარო არსებობს და აგრეთვე სალარო უმუშევართა, არამედ განხორციელებულია დაზღვევაც ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ, წლოვანების განუსაზღვრელადა და სანიტარულ ვიზიტის გარეშე.

ძლიერი ტაში ხვდა წილად ბოშეს სიტყვებს იმის შესახებ, რომ დედა-კაცს აქვს შრომის უფლება ცხოვრების უზრუნველსაყოფად და მხოლოდ ამ მიზნით, ხოლო არავითარ შემთხვევაში ემანსიპაციისათვის ან და ფუფუნების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ბ. ალფრედ ბორელმა, ვექილმა, მიუთითა ტურისტების მოვალეობებზედ სხვა კორპორაციების მიმართ. რამოდენიმე თვის მოქმედების შემდეგ, იურიდიულ პროფესიათა კორპორაცია ითვლის თავის რიგებში, როგორც საერთო გამგებლობის, ისე დაზღვევის განყოფილებაში, 40 პატრონსა და 100 მოსამსახურეს.

ბ. აასის მოკლე მოხსენების შემდეგ ნამცხვარ ტკბილეულების პროფესიის კორპორაციის თაობაზედ, საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით მოუსმინა ბ. პოლ რეგორს, რომელიც არის გულმოდგინედ მოწადინებული, მდივანი პატრონთა ყრიდან, ჟენევის კორპორაციების ფედერაციაში. ბ. პოლ რეგორმა მოახსენა, რომ კორპორაცია იცავს ოჯახს, სპობს სოციალურ კონფლიქტებს, ამყარებს იერარქიასა და წესრიგს წარმოებაში, აძლევს მშრომელს დამშვიდებულ მდგომარეობას, რომელსაც იგი საჭიროებს.

კორპორაცია აკუთვნებს თავის ჭეშმარიტ როლს კაპიტალსა და კერძო საკუთრებას, ჭირნახულის მშვიდობიანი დაგროვების საშუალებას ჰქმნის მცირესათვის. წინააღმდეგ ბ. მულტერის განცხადებებისა, იგი იშორებს ეტატიზმს და ამყარებს სოციალურ მშვიდობიანობას. ჟენევის მთავრობამ ეს კარგად გაიგო და ნებართვა მისცა კორპორატიულ ორგანიზაციებს.

ბ. რეგარი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჟენევაში კორპორაციის განვითარების საქმეში, ძლიერი ტაშის ცემით იქმნა დაჯილდოვებული და სამართლიანადაც.

ამ ღირს მნიშვნელოვან და მრავალრიცხოვან სხდომის ბოლოს, ბ. ბერამ, დეპუტატმა, აღნიშნა, რომ კორპორაცია მუშათა კლასის დამორჩილების განზრახვითგან შორსა სდგას და პირიქით, დამშვიდებული ცხოვრების უზრუნველყოფა მოაქვს ამ კლასისათვის. ბ. ბერამაც აღტაცებით მოუწოდა ყველა მუშებსა და ყველა დამქირავებლებს ამ სოციალური საქმის განსახორციელებლად. ბ. შენომ შვენიერი სიტყვებით მადლობა გადაუხადა ორატორებსა და მსმენელებს.

არგუმენტები, რომლებსაც იძლეოდენ ჟენევის რვა კორპორაციათა წარმომადგენლები თავიანთი დოქტრინის სასარგებლოდ, იყვნენ ის პირნი, რომელთაც საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ დემოკრატიულ პარტიას მიაღებინეს გადაწყვეტილება, მხარი დაუჭიროს კორპორაციას, რომელმაც უნდა გვიხსნას კლასთა ბრძოლისაგან.

## მოგონება

### 1924 - 1933.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924. სექტემბერი. Rue Monsieur le Prince-ზე ერთ სახლში შეხვდება ერთმანეთს 5 ქართველი, რათაც დაიწყონ საკითხი „ქართველ პატრიოტთა ლიგ"-ის დაარსების შესახებ. შეხვედრა ატარებს ინტიმური და ჯგუფური ხასიათი; გამოწვეულია ის საქართველოში გართულებული მდგომარეობით და საქართველოს სოციალისტურ, ე. წ. „მთავრობის" უმოქმედობა-უპრინციპობის გამო. აზრთა მეტაკების შემდეგ დაადგინეს: დაარსდეს წმინდა პოლიტიკური ორგანიზაცია ქართველ ანტი-სოციალისტურ ახალგაზრდობისა და მას დაერქვას სახელად „**მომავალი**." მისი ლოზუნგია ამ დროს: «ყველა ქართველისათვის და ერთი ყველასთვის საქართველოს აღდგენისთვის». მისი სტრუქტურა ანტი-სოციალისტურია და „წესდებას," ათი მუხლისგან შემდგარს, საფუძვლად ედება მუსოლინის «10 მცნება,» იმ დროს ფრანგულად გამოქვეყნებული პორტუგალიელ ფაშისტის, „Homeo Christo"-ს მიერ („Le Bâtisseur de l'avenir. Paris. Edition Jast.

— დადგენილია წევრთა გადიდება ათამდე.

1924 წლის ბოლოს პარიზში ჩამოდის ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავის 40-ოდე მეფიცულით. მას იწვევენ «მომავალის» ერთ-ერთ კრებაზე დასასწრებლად „Institut Catholique"-ში, მაგრამ ქაქუცა ვერ კრებას ვერ ესწრება და ახდენს ერთ თავის წარმომადგენელს. გადასცეს: სრული თანაგრძნობა ქართველ ანტი-სოციალისტთა ახალ ორგანიზაციას, მაგრამ სახელად მას ეწოდოს „მომავალი"-ს მაგიერ — „**თეთრი გიორგი.**" კრება დასტურს სცემს მის ამ წინადადებას და ერთვლის მადლობას. ამის შემდეგ „მომავალი" გადაიქცევა „თ.-გ."-ად და ეს სახელი რჩება მას სამუდამოდ.

1924 წლის 1 იანვარს „თ.-გ." შემადგენლობა ასეთია: 1. ა. გოგოლია, 2. ი. ხუნწარია, 3. შ. ბერიძე, 4. ხ. დგებუაძე, 5. მ. კედია, 6. ი. [illegible]შვილი, 7. ი. სალია, 8. ე. პატარიძე, 9. კ. კვარაიძე და 10. კაპ. [illegible].

(პირველი ორი იქცევიან 1926-ითგან ამერიკაში, მეექვსე — ... და ... იმ ... 1928 წ. საქართველოში, ... თან ბრძოლაში ... შედეგად, დანარჩენი ... სამოასრეთში).

ახალი ორგანიზაცია გ ... თავის სიმცირეს, დადგენილია მისი შემადგენლობის მიყვანა ოც წევრამდე, მისი კრებები რეგულიარულია, კვირაში ერთხელ, თავმჯდომარეობენ მორიგეობით, წევრთა-დამაარსებელნი; უსახსრობა აბრკოლებს გაზეთის გამოცემას და ჯგუფის გადიდებას.

1925 წლის დასაწყისში გ. ვეშაპელი დაასწრებს სხვებს და ბეჭდავს პირველ ქართულ გაზეთს «ახალი საქართველო»-ს. მისი გამოსვლა ახდენს სენსაციას და იწვევს აღშფოთებას. ბატონი — რედაქტორი, თუმცა «არა-ბოლშევიკი», ქადაგებს საქართველოში დაბრუნებას და „შეიგუებას უკვე დაცყოებულ რეჟიმთან..." გ. ვეშაპელი მიმართავს „თ.-გ."-ის ორ წევრ-დამაარსებელს «თანამშრომლობისათვის». მაგრამ ეს ... უპასუხებენ კატეგორიულის უარით.

პირველ ხოძეის თაა სდევს მეორე და მისი რჩევის თანახმად მართლა ბრუნდება საქართველოში ერთი ჯგუფი ქართველ ემიგრანტთა (ვ. გუდიაშვილი, ი. ალიხანიშვილი, დ. კაკაბაძე და სხვ..). „თ.-გ." ვერ უთიგდება ასეთს ძდგომარეობას და კიდევ უფრო აღშფოთებული «პოეტი» მიწიშვილის ახალი პროპაგანდით საბჭოთა სასარგებლოდ, თავს დაესხმის გ. ვეშაპელის ერთ კრებას (აგვისტო. 1925) კაფე „Voltaire"-ში და პატიკი ბრძოლის შემდეგ უკარნახებს მეტს სიფრთხილეს. გ. ვეშაპელის დაბეზღების თანახმად, ასამართლებენ «თ.-გ.» წევრთ, ვეშაპელის ინტერესებს იცავს ცნობილი ბოლშევისანი ვექილი პ. ტორესი, თავდამსხმელთ იცავს ფრ. დეპუტატი პ. ბატაი და ხანგრძლივი მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, ყველა ბრალდებულთ გაამართლებენ, როგორც პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ აქტის ავტორებს, ხოლო თვით ვეშაპელი, სასამართლოთგან გამოსვლისას, ხდება მსხვერპლად ერთ ქართველ პატრიოტის პირად ნაბიჯისა და ამ უკანასკნელს გაამართლებენ აგრეთვე, 7-ოდე თვე ციხეში ჯდომის შემდეგ. „პოეტ" მიწიშვილს დაატუსაღებს საფრანგეთის მმართველობა, როგორც პოლიტიკურ პროვოკატორს და აგენტს კომუნისტთა. მას აიძულებენ დაბრუნდეს ტფილისში და ეკრძალება სამუდამოდ საფრანგეთში ჩამოსვლა...

1925 წლის ნოემბერში ჩამოდის სპარსეთ-სირიითგან ლეინ. ლეო კერესელიძე, რომელსაც „თ.-გ." ირჩევს ერთხმად თავის **მთავარ მდივნად**, რაც უდრის ბელადობა-თავმჯდომარეობას და აძლევს მასვე „დირექტორიის" მეტკენას. ეს უკანასკნელი უკარნახებს ორგანიზაციას რკინის დისციპლინას და ჩაუდგამს სულს მის არსებობას გაზეთ „თეთრი გიორგი"-ს დაარსებით. ამ დროს მის წევრთა რიცხვი აღწევს 40-ს.

აქ ვწყვეტთ ჩვენს მოგონებას, რომლის გაგრძელებას, უფრო ვრცელს, თავის დროზედ იკისრებს უსათუოდ ქართული პოლიტიკური აზროვნება-მოღვაწეობის მემატიანე.

პარიზი. 1933 წ. შ. ბ.

## ქრონიკა

— პროფ. მიხ. წერეთელი ბრიუსელითგან მიიწვიეს ბერლინის აღმოსავლეთის ინსტიტუტში პროფესორად.

## განცხადება

ვთხოვთ თ.-გ. ყველა ორგანიზაციებს, ცალკე წევრებს და სხვათ საწევრო გადასახადი და შემოწირულებანი გადმოგზავნონ შემდეგი მისამართით: M. M. Kéréssélidzé. 28, rue du Ranelagh. Paris 16.

ეძებენ საბა-სულხან ორბელიანის ქართულ ლექსიკონს სასყიდლად. მისამართი: 4, square du Trocadero. Paris 16. M. N. Dadiani.

IMP. G. CAVALLIER, 23, RUE DU DÉPART, PARIS.
Le Gérant: Felix KALDENBACH.

-თეთრი გიორგის გამარჯვებასთან და ყველა პარტიების განადგურებასთან ერთად აღნიშნული ტერმინები უნდა ამოიშალონ პოლიტიკური ლექსიკონითგან.

ანდრო დოლიძე.

---

## ქართველი ერის შინაური მტერი

( გაგრძელება ) 1)

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია სადემაგოგიო ნიადაგზედ აშენებული პარტიაა, მან კიდევაც მიიგდო ყველა სადემაგოგიო დემოკრატიული ჯგუფები თავის ოჯახში. ამ ოჯახის მეთაურად ნ. ჟორდანიაა. ღირს მასზედ შეჩერება, ვინაითგან იგია პირველი პასუხისმგებელი ყველი იმ უბედურებისათვის, რომელიც ქართველ ერს თავს დაატყდა; იგი პირველი მესვეურია იმ პოლიტიკის, რომელიც ქართულ ეროვნულ ენერგიას ასუსტებს და დანიშნულებისგან გზას აცდენს.

გარეშე მტერს გაუსამართლებლად სჯიან, მას ანადგურებენ, ებრძვიან აწმყოში და მომავლისათვის იმორებენ. ნ. ჟორდანია შინაური მტერია, რომლის გასამართლებას გვერდს ვერ ავუხვევთ; ვინაი იგან საშინაო მტრის ამოგდება უფრო საფაქიზო ოპერაციაა, ვიდრე გარეშე სტიქიასთან ბრძოლა.

თავის მოღვაწეობის დასაწყისში ნ. ჟორდანიამ ევროპითგან მხოლოდ ერთი ახალი სიტყვა ჩამოუტანა საქართველოს: ერი პროლეტარეებისაგან შესდგებაო. პროლეტარიატი ჩვენში უცხო ხილი იყო და უცხო ხილადვე დარჩება. როგორც ყველაფერმა უცხომ, პროლეტარულ «იდეალმა» ჩვენში კეთილშობილ ერის ეგრი შეიძლო. ქალაქთა ბრძოლა, ბოროტებითგან სოფლის კარმიდამოში გადავიდა. ამღვრეულ ტბაში, რომელსაც წარმოადგენდა გასულ საუკუნის ქართული სინამდვილე, ილ. ჭავჭავაძე ასე რომ სცდილობდა გაეწმინდა, ნ. ჟორდანიამ უამრავი თევზი დაიჭირა.

ჩვენთვის, ერი ადამიანებისაგან შესდგება და ერზედ ზრუნვა ადამიანის იდეალების ამაღლებაზედ ზრუნვაა. ნ. ჟორდანიამ ქართველ ადამიანს პროლეტარის იდეალები გადაასწორა და მსოფლიო ბაზარზედ გადასასწორებლად გამოიტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, უპირველეს ყოვლისა თ ი ო. ნ. ჟორდანია გადასწორდავდა ინტერნაციონალის ყალბ მანეთებზედ.

ნ. ჟორდანიას მთელი მოღვაწეობა ილ. ჭავჭავაძის მიერ აშენებულ საქართველოს დანგრევაში გამოიხატება. მაგრამ, მაგარი კიდევ ის არის, რომ ქართველი ერის უღირსი შვილი ამ ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა. გურული სიცოცხლით თუ მოუვიდა, პატიოსანი მოღვაწე მისი მიზეზით გამოწვეულ ნანგრევებში დალევდა სულს და სასჯელის მძიმე ლოდის ქვეშ დანამაულს ნაწევრად მაინც გამოისყიდდა. სახლი თავს გდ დაენგრა; ნ. ჟორდანიამ იქითგან დროზედ თავს უშველა და ახალი თავშესაფარი იპოვა. საზოგადოებრივ მოღვაწეს ყველაფერი ეპატიება. მან იცის, რასაც აკეთებს. თუ სიცოცხლე შეინარჩუნა, ისევ ერის საკეთილდღეოდ მართლაც ღრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ნ. ჟორდანიას ასეთი სენტიმენტალობა და დრამატიზმი დასწამოს!

პოლიტიკაში რომ ფაქტიური სანქციები არსებობდეს, ნ. ჟორდანია სისხლის სამართლის კანონებით იქნებოდა განსჯილი, იგი არამც თუ საკმაო სიფრთხილით არ მოექცა ქართულ ოჯახის წევრების სიცოცხლეს და საკმაო მზრუნველობა არ გამოიჩინა მათი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, არამედ ყოველმხრივ იმას სცდილობდა, და დღესაც იმას სცდილობს, — რამენაირად წაართვას ქართველ ერის შვილებს შინაგანი რაობა და გარეგანი სახეობა.

1) იხ. « თ. გ. » N 68.

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა  დ ა  მ ი ს ი « ფ რ ო ნ ტ ი ». თვით პარტია, რომელმაც ქართველ ერს თავს მოახვია ეს ნიჭიერი სემინარისტი, განიცდის თავის ბელადის პრიმიტიულ მამასახლისურ პოლიტიკის ყველა შედეგებს. ლანჩხუთელ ბერიკაცს აქაც საზურავი თავზედ ეცემა, მაგრამ თვითონ ყოველთვის დროზედ ასწრებს გამოხტომას. ერთ საღამოს ნ. რამიშვილი მოჰკლეს. რამოდენიმე დღეში, ადგილი არ დამეკარგოსო, ნ. ჟორდანია კავშირს კრავს მიცვალებულის მტრებთან.

წყალსაც წაუღია სოციალ-დემოკრატიული პარტია, ერის სახელი შიგ გარეული რომ არ იყოს; ეს გარემოება ქართველ ხალხსა და ქართველ ახალგაზრდობას უსაყოფო და მავნე ტენდენციებით რომ არ ჰკვებავდეს. ჩვენ სხვაც გვაინტერესებს. სახელდობრ ის, რომ ნ. ჟორდანია სავსებით გამოხატავს ე. წ. საერთო ფრონტის დამყაყებულ სულისკვეთებას და ამ უზნეო პოლიტიკოსის ქცევა-საქციელმა შეიძლება ბევრს აუხილოს თვალები.

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა  დ ა  ქ ა რ თ ვ ე ლ ი  ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა. ყოველ შემთხვევაში ერთი უდავოა: ნ. ჟორდანიამ არ იცის სად სძევს სწორი ეროვნული გზა. არც მოეთხოვება. სამაგიეროდ, იგი გარკვევით ჰხედავს პირადი მდგომარეობის დასაცავ საშუალებებს. იგი დასრულებული ტიპია დემაგოგის. მან თავისი ჯოგით მაშინ დაიბყრო მოედანი, როდესაც დიდი ბედაურები დაიხოცნენ.

მაგრამ ქართველ ერს ნ. ჟორდანიას გაჩენით არ ამოუწურია თავისი არსებობა. ცეცხლისა და მახვილის ებოქაშიაც წამოიზარდა ახალი მომზადებული თაობა, რომელიც მოწოდებულია ძველი შესცვალოს. მათ შორის ისეთებიც არიან, რომელნიც ერისათვის სამსახურს ბევრზედ უკეთ გასწევენ.

ნ. ჟორდანიამ ამ ახალგაზრდობის მიმართ დუმილის პოლიტიკა დაიკავა. სოციალ-დემოკრატების ქურუმს არ უნდა თავისი ტაძრის საიდუმლოებანი გასცეს. ახალგაზრდობა ყოველთვის უფრო აქტიურია, ვიდრე ძველი თაობა. იგი ყოველმხრივ სვამს საკითხებს და პასუხს მოითხოვს ძველი თაობისაგან. ნ. ჟორდანია სდუმს მაშინაც, როდესაც მას ეკითხება მისივე პარტიული ახალგაზრდობა, რომელმაც ცხოვრებას შეიძლება უფრო მეტი ალღო აუღოს, ვიდრე დასავსებულ ფანატიკოსმა. ორივე შემთხვევაში იმიტომ, რომ ხმის გაცემა ახალგაზრდობისადმი საკმარისია, რათა ჭეშმარიტება თავისით წამოდგეს ქართველი ერის წინაშე. დუმილი ყველაზედ ადვილი საშუალებაა ჭეშმარიტების დასაფარავად. ჭეშმარიტებას კი დამალვა უნდა.

ნ. ჟორდანია ეკამათება მხოლოდ « მანდატიან » ხალხს, ე. ი. ისევ « თავისიანებს ». რომელი უვიცია — დღეს, არ იცოდეს მანდატების ღირსეულება? ვინ როდის გაიგებს, რომ ძველ მანდატებს ჯერ კიდევ ბოლშევიკების სისხლში ამოსვრილ ხმლით დაჰხევს ქართველი ხალხი და ახლის მოსაცემად მრავალ ისეთ პირობებს წამოაყენებს, ჩვენს ყრუ-მუნჯ პოლიტიკოსებს სიზმრადაც რომ არ გაუგონიათ.

ნ. ჟორდანია ქართულ ლიბ პროლეტარიატს პარიზის კომუნის გაკვეთილებს აძლევს. სასაცილოა, მაგრამ წაიკითხეთ მისი უკანასკნელი წიგნაკი. რა გაკვეთილებს აძლევს იგი ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის გულშიაც დღეს მსოფლიო ატმოსფერით შექმნილი ეროვნული განახლების რწმენა ილვიძებსა და ფრთებს ისხამს? იგი მას უგულებელ-ჰყოფს. ან-და როგორ უნდა უპასუხოს ნ. ჟორდანიამ ქართველ ახალგაზრდობის სულისკვეთებას, — იგი არასოდეს არ ყოფილა ერის ბელადი და ერთ დღეში ვერ გახდება.

« მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო », ჰღაღადებდა ნ. ჟორდანია თავის კარაბადინითგან. ქართველთა განთავისუფლება ვისი საქმე უნდა იყოს? ამას იგი არ გეტყვის; რუსის მუშებს ქართველები რომ არ გაუნთავისუფლებიათ, ყოველ შემთხვევაში ეგ ყველამ უწყის და რაკი ძველებმა გვიმუხთლეს, ნებით თუ უნებლიეთ, ქართველი ახალგაზრდობა თვით შეეკითხა საკუთარ თავს: მარქსისტულ და დემოკრატიულ იდეების მონოგითგან განთავისუფლებულმა გადაწყვეტ ლება მიიღო; ვინც ვერავითარი რწმენა ვერ ჰნახა საკუთარ გულში, კაცოგრიობის მაჯისცემამ გამოაფხიზლა და ჭეშმარიტ გზაზედ დააყენა. ერთან თუ ერის გარეშე, კლასთა ბრძოლა თუ ნიჭთა თანამშრომლობა საეროვნო იდეალებისათვის, [illegible] რაციონალური მოწესრიგება, — აი საკითხები, რომელნიც დღეს ვერც ერთ ნამდვილ ქართველ ახალგაზრდას ვერ გამოეპარება.

ყველა თანამედროვე ერები ახალ თაობებზედ ამყარებენ იმედებს. ყოველ ღირსეულ ერის თაობა ამ იმედების გასამართლებლად ემზადება. ჩვენი ახალგაზრდობაც ღირსეული ერის შვილია. ლანჩხუთელი პრემიერი სავსეა იდუმალი სიძულვილით ამ ახალგაზრდობისადმი. ვაი მას ვინც უღირსი სიძულვილით იკვებება.

დ ა ს კ ვ ნ ა. საშინაო მტერი მუდამ ნიშანში ამოღებული უნდა გვყავდეს. უნიჭო ხალხით გარს-შემორტყმული ნ. ჟორდანია საქართველოს განთავისუფლებას გვპირდება. როდემდის იქნება, ღმერთო, ასეთი უმსგავსოება ჩვენს ცხოვრებაში? ვაშინგტონსა და ნაპოლეონს ბავშობითგანვე მტყობოდათ, რაც იყვნენ. ნუ თუ ნ. ჟორდანიას სიბერეშიაც არ შეეტყოვა? ვინ უწევს ანგარიშს? ინტერნაციონალმა სული დაჰლია. თანამედროვე ერებმა დაინახეს ის უფსკრული, საითკენაც მიაქანებდა მათ კოსმოპოლიტური იდეები.

გადამწყვეტ მომენტში საქართველო ისეთსავე იზოლიაციაში დარჩება, როგორც ეს მოხდა 1921 წლის თებერვლის რიცხვებში, თუ ნ. ჟორდანიას საკულტო ორიენტაციებს ავყევით. ჩეკასთან ფინ-ზრიკებში მეტოქეობის მეტი « საქართველოს მთავრობას » პარიზში არაფერი საქმე დარჩენია. რუსულ გაზეთში იმის მტკიცება — ძალიან პატიოსანი პატრიოტები კართო, ესეც მათი პოლიტიკანობის ყვავილია. დავუცადოთ უარესს!

საშინაო მტერი ღრღნის საქართველოს. თუ საგარეო მტერთან ბრძოლის ველზედ შეხვედრის ჟამს ჯერ არ დაუკრავს, საშინაო მტრის მხილებისა და ჩვენი სულიერი განმტკიცების საათი დიდი ხანია არის. ამით ქართველ ერს საგარეო მტერთან ბრძოლა გაუადვილდება. დროა, ქართველ ხალხმა გაიგოს — ვინ არის მისი ნამდვილი და ცრუ მოჭირნახულე. ქართველ ერს დღეს ზურგი არა აქვს· ყოველ პატიოსან ქართველისა და განსაკუთრებით ახალგაზრდოვის ვალია ამ ზურგის შექმნა და გამაგრება.

ერის ცხოვრებაში არიან მომენტები, როდესაც სწორედ ახალგაზრდობა თამაშობს გადამწყვეტ როლს. ამგვარ მომენტს განიცდის ამ ჟამად ქართველი ერი, რომლის საუკუნებრივი ენერგია განახლებას საჭიროებს.

სამი ცკალი.

---

## კოჭლი ეშმაკი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი შეძლებული კაცი. ჰყავდა სამი ვაჟი. სიკვდილის ჟამს შვილები დაარიგა: « შვილებო, მამული გაიყავით, თავ თავისი კერა გაიჩინეთ, მაგრამ ტკბილი ძმობა არ მოიშალოთ, მუდამ ერთ პირზედ იყავით, როგორც ჩვენი წინაპარნი მოქცეულან, თქვენც ისე მოიქეცით; მტერსაც ერთად გაუმკლავდით და მოყვარესაც ერთად უმოყვრეთო ». მოკვდა. ძმები გაიყარენ. მაგრამ ისევ ტკბილი ძმობა ჰქონდათ.

ერთ საღამოს, როცა უფროსი ძმა ვენახსა სხლავდა, ღობის ნახვრეტითგან ერთი კოჭლი ეშმაკი შემოძვრა. მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა: « არც შენი სახლია კარგად აშენებული და არც მამულია ხეირიანად მოვლილიო. ღმერთიცა და წინაპარნიც უსამართლოდ მოგქცევიანო. თუ დაძმები ბედსა გწევო. დავძმობილდეთ. ავდგეთ, ჯერ შენი სახლი დავაქციოთ, შემდეგ მამულებიც ავიკლოთ და გადავ

---

კეთილი გრძნობები ხშირად ადამიანს თვალებს უხვევს სინამდვილის წინაშე. სინამდვილე კი, როგორიც არ უნდა იყოს ის, რეალობაა: ხშირად ძალიან ულმობელი და ადამიანური თვალსაზრისით მიუღებელი, მაგრამ ის მაინც სინამდვილეა, და ვისაც სურს ცხოვრების ჭეშმარიტი თანამგზავრი იყოს, მას უნდა გაუწიოს ანგარიში.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ არის პოეზია, სადაც შეგიძლიათ თავისუფლად განაცხადოთ: „ზეცა შუშაბანდია, მთვარე კედლის საათი “-ო. საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა ვიცნათ ისე, როგორც ის არის; ყოველგვარი სახე მისი, როგორც სანეტრო, ისე სამწუხარო და მხოლოდ ამ ნიადაგზედ შეიძლება ბრძოლა და მოქმედება მასში სასურველი ცვლილებების შეტანისათვის. როგორც კი სურვილების კრიტერიუმით დახედავთ სინამდვილეს, შესდგებით მოლიპულ გზაზედ, საითგანაც ყოველთვის ადვილად დაგისხლტებათ ფეხი.

ჩვენი თაობა, თეთრი გიორგის სახით, სავსებით ამ შეგნებით გამოვიდა ბრძოლისა და მოქმედების ასპარეზზედ. თეთრი გიორგის სახით, ვამბობ, რათგან თეთრი გიორგი არ არის მიმართულების საკითხი; ჩვენი დღევანდელი ეროვნული სინამდვილის ნიადაგზედ ის არის თაობის საკითხი, რომელთა მსგავსი მოძრაობანი მხოლოდ საუკუნეთა მანძილზედ ხდება ხოლმე.

მან მთავარ მიზნად დაისახა საქართველოს განთავისუფლება და მისი აღორძინება დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით. ამ გარკვეულ მიზანს მან გამოუნახა მისი განხორციელების შესაფერი გზებიც. ამ დიდ შარაზედ მთავარი მიზანი იშლება მრავალ წვრილ მიზნებად, რომელთა განხორციელება მას მოუხდება ცალ-ცალკე. ხოლო წინააღმდეგობათა ქვეყანაც მან სავსებით გაითვალისწინა. ის დადგა მკვიდრ ნიადაგზედ და მოქმედებას დასაბამი რეალობაში დაუდო. ერთის მხრივ მიუღებელ სინამდვილის გარდაქმნის აუცილებლობა, მეორე მხრით ჩვენი დიდი იდეალი თავისი მრავალი განშტოებებით, ჩვენს წინაშე აყენებენ მთელ რიგ ახალ ამოცანებს, ახალს, რათგან ისინი არიან დამახასიათებელი თვისებანი ჩვენი დროის აზროვნებისა და, მაშასადამე, ჩვენი თაობის მოვალეობისა.

**1. საქართველოს განთავისუფლება და ეროვნული იდეალი.** — საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ. ჩვენი მიზანია ინტეგრალური დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, მაშასადამე მანამდე, საჭიროა მისი განთავისუფლება.

ამ მიზნით დღეს თათქოს ყველა ძველი პარტიები იბრძვიან, თითქოს, შიგნით, ერში (თუ კომუნისტებს არ მივიღებთ მხედველობაში) დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე აღარავინა სჩანს. მაგრამ ვინც სინამდვილეს და ჩვენს პარტიათა მოღვაწეობას კარგად თვალს ადევნებს, ის დაგვეთანხმება, რომ ასეთი შეხედულება არის მხოლოდ მოჩვენებითი. და ეს არის შედეგი იმის, რომ დღეს ქართველ ერში თეთრი გიორგის საშუალებით გამოწვეულმა დიდმა პატრიოტულმა მღელვარებამ, უკანასკნელად გაღებულმა აუარებელმა მსხვერპლმა, ეს ხალხი დააბნია და იძულებული გახადა საჯაროდ აღეარებინათ, რომ ისინი დღეს ყველა არიან დამცველნი დამოუკიდებლობისა. და ცხადია შიშით და იძულებით მიღებულ აზრს, მათში მკვიდრი ნიადაგი აროდეს შეიძლება ჰქონდეს.

დღეს, ძველი პოლიტიკური პარტიების ნანგრევებითგან შეიძლება პირდაპირ დავასახელოთ: 1. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელთა მთავარი მიზანი თვით სახელწოდებაშია გამოთქმული, უკვე დაძველებულია. თუ დღეს ეს პარტია მის მთავარ მიზანს უარჰყოფს, ეს ნიშნავს თვით ლიკვიდაციას მისი არსებობისა, ხოლო თუ დღეს ის კიდევ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სცილდება დღეს სასტიკად დასმულ და ერის მიერ მიღებულ სრულ დამოუკიდებლობის საკითხს. 2. ჩვენ არას ვამბობთ ე. წ. სოციალ-რევოლუციონერთა პარტიაზედ, რომლის სახელი კაი ხანია მივიწყებულია ყველას მიერ. 3. სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველამ უწყის პრინციპიალურად წინააღმდეგია საქართველოს დამოუკიდებლობისა. ხოლო მისი ერთი ფრთა ირ. წერეთლის მეთაურობით, გადაჭრით, რუსეთის « დემოკრატიის » გამარჯვებაში ხედავს საქართველოს „ პროლეტარიატის “ ( და მისი ლიდერების! ) ხსნას. 4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი ნაწილიც გაყვა მენშევიკების გზას. მართალია, ისინი პრინციპიალურად თითქოს იღებენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, მაგრამ მათი მენშევიკებთან თანამშრომლობა, რომლის ძირითად ბაზისად ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ა  დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი, ეს კი იმ დროს, როცა საქართველო მტრების ხელშია — ნიშნავს მთავარი მიზნითგან გადაცდენას და მენშევიკურ ჩანგზედ ამღერებას. ამგვარად მათი მოქმედებაც პირდაპირ საწინააღმდეგოა საქართველოს სადღეისო უმაღლესი იდეალის.

ამის შემდეგ არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ პარტიებმა, რომელთაც თეთრი გიორგის გამოსვლამდე, ხელთ ეპყრათ მოღვაწეობის სადავენი, არამც თუ რაიმე გზები გამოუნახეს საქართველოს განთავისუფლების საქმეს, არამედ ბევრგან ჩვენი საკითხი ჩაახშეს.

ამ ოფიციალურ პარტიათა გარედაც შემდეგ სურათებს ნახავთ: რუსულ პრესაში თანამშრომლობას, რუსებთან მეგობრობას, საიდუმლო კავშირები რუსებსა და სხვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე წრეებთან და ორგანიზაციებთან და სხვ..

აქეთგან ცხადია, რომ ძველთაგან არც ერთი ძალა არ არის სანდო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

ამ მოვლენას ჩვენმა თაობამ ისე კი არ უნდა შეხედოს როგორც პოლემიკას ან რაიმე მეთოდს პროპაგანდისას, არამედ, მას უნდა ღრმად ჩაუკვირდეს და დაინახავს ამ მწარე სინამდვილეს. ჩვენ სრულის ჭეშმარიტებით გვესმის ეს ასე და ამიტომ სასტიკად ვილაშქრებთ მათი მოღვაწეობის წინააღმდეგ. როგორც ყოველ ჭეშმარიტ ბრძოლას, საქართველოს განთავისუფლების საქმესაც მიზანთა და საშუალებათა გარკვეულობა უნდა ახასიათებდეს. ჩვენ მთელი სინამდვილე წინასწარ გავითვალისწინეთ და დავსვით საკითხი ჩვენს პოლიტიკურ მტერთაგან სასტიკი გამიჯვნის. ეს გამიჯვნა უნდა იყოს არა სიტყვით, არამედ საქმით, არამედ განცდითი და პსიქოლოგიური. ჩვენ ვიცით, რომ ძველი თაობის წარმომადგენელნი, ზოგნი „ დიდი რუსეთის “ იმპერატორების ჩინ-მედლებისა და მინისტრობის მტრფიალენი, ზოგნი რუსეთის „ პროლეტარიატის “ ამხანაგები ვერ დასთმობენ ასე ადვილად რუსეთის სიყვარულს,

„წავთო. მერე კი გადაბუგულ ადგილებზედ ისეც სასახლე-პალატებს აგებენ, რომ ყველა შენ შემოგნატრიდეს. შენ ბედსა ძაღლი აღარ დაჰყეფავსო ». — უფროსი ძმა მიხვდა ეშმაკის გულის ნადებსა, პირჯვარი გადაიწერა: «ვიჯმნი ეშმაკისაგანა » ო და ეშმაკი გაჰქრა.

შუათანა ძმაც ეხე მოიქცა.

ხოლო უნცროსმა ძმამ ყური ათხოვა. ერთხელ მოუსმინა საუბარში კოჭლ ეშმაკსა, მეორეთა და ბოლოს დაჰყვა, დაიჯერა მისი მაცდური სიტყვები. დამმობილდნენ. კაცმა ხახლში მოიწვია. ხადილი გაუმართა. სუფრის გარშემო რომ შეიკრიბნენ ეშმაკმა ხატი შეამჩნია: კედლის კუთხეში ჰკიდა და წინ კანდელი ენთო. — « ეს რა არის » ო? — « რა არის და ხატია » ო. კოჭლ ეშმაკს გოროტმა ღიმილმა გაურბინა პირზედა. — « ხატი რათ გინდაო? იხეთი რა კეთილი გიყო ღმერთმა, მისი ხატი რომ დაგიხვენებიაო? აიღე და გადააგდეო. დღეით ან ჩემს მეტი პატრონი ნუღარ გინდა »-ო. აიღო კაცმა ხატი და გადააგდო. კაცის ცოლი შემოვიდა. ზონჩით [illegible] მომიტანა. ეშმაკმა ქალს აზედ ჩახედა და ბოროტი სიცილით ჩაიცინა. — რას იცინიო? ჰკითხა კაცმა, როცა ქალი გავიდა — ეს სულიერი ვინ არის? — ვინ არის და ჩემი დიდაკაციო. — რათ გინდა ან ცოლი ან ოჯახიო? [illegible] მე დაგპირდი, როცა აგაშენებ ისეთ ბედს შეგყრი, რომ რომელი ქალი [illegible] ბაო: კაცისა და ქალის შეუღლება სულ ღმერთის ხრიკებია, რათა კაცი უფრო ადვილად დაიმორჩილოსო. ოჯახი ჯაჭვია, რომელზედ ღმერთის კაცი დაუბია ტყეში დაჭერილი [illegible]. გააგდე ცოლი »-ო. ისიც ადგა და თავისი ცოლი და კაცი გააგდო თავის მეზობლად დაუდგა. ჭამეს, სვეს. « ახლა ადექი და მომყევი » ო, უთხრა ეშმაკმა. მიდის კოჭლი ეშმაკი, მიჩლანქუნებს. კაცის მამულები გადაიარა. სადაც კი თავის კოჭლ ფეხს დაადგამს ყველივეს ნაცარ ტუტად აქცევს. მოსწვა და მიაჭკნო ყანა ვენახები. ნოყიერი მიწა სულ ქვა-ღორღად აქცია. ახლა სახლ-კარს მიჰყო ხელი: სულ მიანგრ-მოანგრია. მიდის კოჭლი ეშმაკი, მიჩლანქუნებს კაცი კვალ და კვალ მისდევს და ნგრევა ბუგვაში ეხმარება. თან გუნებაში უხარია: მალე ამ ნანგრევებზედ, პაპი ჩემის გამურული კომშის მაგიერ, ჩემი მეობილი ოქრო-ფიროზის პალატს წამოიჭიმავსო. საქმე რომ მოათავა ეშმაკმა, ერთ უფსკრულს მიადგა, ისკუპა და გაჰქრა! კაცი გაჰყვა: ისკუპა, უფსკრულში გადაიჩეხა და ჩაიღუპა.

მისმა ორმა ძმამ კი მამა-პაპეულზედ განაგრძეს შრომა და ჭაპნის წყვეტა. ოჯახიც გაუმრავლდათ და მათი საქმეც წინ წავიდა.

ლხინი აქა, ჭირი იქა. თქვენ პირს შაქარი და თქვენ მტერს თვალში ნაცარი...

ეს ზღაპარი ცხონებულმა პაპა-ჩემმა მიამბო, ამ 25 წლის წინეთა, და თან დასძინა: « შვილო, ვინც ეშმაკის ხმას აჰყვება ღმერთსაც გადაუდგება, თავისიანსაც და საკუთარ თავსაც წაიხდენს »-ო.

მაშინ მე ვერ მივხვდი პაპი ჩემის სიტყვებსა. ვერც იმას თუ რა შინაარსი იყო ამ, წინაპართა მიერ გადმოცემულ სიბრძნეშია. და ან განა ბევრი მიხვდებოდა იმ ბნელ დროს, საქართველოში, ამ სიბრძნის სიღრმესა? იმ დროს ჩვენ ქვეყანაში კოჭლი ეშმაკის სული ტრიალებდა და ყველას გონებას გვიხშობდა. თვით ილიას სიტყვასაც კი გასაქანი აღარა ჰქონდა! განა თვით დამოუკიდებლობის დროსაც კი ბევრი ქართველი მიხვდა, რომ ჩვენი ქვეყნის მმართველნი, კოჭლი ეშმაკის მიერ აღთქმული, არარსებული სამოთხის ძებნაში, ამა ქვეყნის ნამდვილ სამოთხეს—საქართველოს—ჰკარგავდნენ? და აკი დაჰკარგეს კიდეც!

დიახ, ბატონებო, ამ ბნელ და შეუგნებლობის დროს სამრავალი ქართველი გაჰყვა კოჭლი ეშმაკის კვალსა. ხოლო რასაც კი მისი ავი სული ცეცხლისავით მოედებოდა ყველაფერი ნაცარ ტუტად იქცეოდა ხოლმე. ანადგურებდა და სპობდა ქართველი ხალხის ნივთიერ თუ სულიერ განძსა!! და აღარ იყო დანდობა ძმისა ძმის მიერ... და თვით ილიას სიცოცხლეც კი ნაფოტადაც აღარ ჩააგდეს!

მაგონდება ჩვენი მაშინდელი ვითარების სურათები... ერთ დღეს მეჯრუსხევში ჩავედი. პირ დია საქულას დუქნის დერეფანში ვანცალა შინდიაშვილი დამიხვდა. ხოლომონს გაუმარჯოსო. გაგიმარჯოს მეთქი. — სოციალ-დემოკრატებს მიტინგი გაუმართნიათ, ხალხს იწვევენ და ჩვენც წავიდეთო. — წავიდეთ მეთქი.

იმ დროს, საქართველოში, უცბად, ახალი სიტყვები შემოიღეს: « მიტინგი », « ტერორისტი », «პროპაგანდისტი » და სხვ.. არც კი გვესმოდა მათი მნიშვნელობა. ზოგი ამბობდა ფრანგული სიტყვებიაო ზოგი ამტკიცებდა რუსულიაო. აბა, მე რუსულის ახლაც არა ვიცი რა, და მაშინ ხომ ინჩიც არ მესმოდა. პაპა-ჩემმა სკოლაში არ გამიშვა:— « ვინც რუსული კიკიროხი დაიხურა ყველა გადაგვარდა და შენი წახდენა არ მინდაო ». ქართული წერა-კითხვაც, ღმერთმა აცხონოს, დიაკვანმა კაკომ მასწავლა.

არ მესმოდა მეთქი ეს უცნაური სიტყვები და მხოლოდ ნელ ნელა მივხვდი, რომ « მიტინგი » ყრილობა ყოფილა ქართულადა, « პროპაგანდისტი » მოქადაგე და «ტერორისტი » კი კაცის მკვლელი. ბოლოს იმასაც მივხვდი, რომ ყველა ჯურის სოციალისტ-მოციალისტებს ეს უცხო სიტყვები იმიტომ შემოეღოთ, ხალხის გასაბრუებლათა და დასაბნევათ. იმიტომ რომ დარეტიანებული კაცის მოტყუება და დამორჩილება ადვილი საქმეა.

ვანცალა შინდიაშვილი ახლაც ცოცხლად მიდგია თვალწინა. შუა ხნისა იქნებოდა. შუა ტანისა. ხმელ-ხმელი. მუქელი ტყლაპივითა ჰქონდა ფერდებზედ გაკრული. ამიტომაც ვეცხლის ქამარი ისე განივრად ადგა, რომ ტარ მოკლე ლილო, დიდი, შავი ხანჯლის წვერი მუდამ მკლებზედა სცემდა და სიარულს უშლიდა, რადგან ბარძაყთა შუა გაეჩხირებოდა ხოლმე. მთელი სიცოცხლე ერთი მაუდის ჩოხაში და შავ ნაბდის ქუდში გაატარა. ისე ჰქონდა გაქონილი ჩოხაცა და ქუდიც, რომ მზეზედ სულ ლაპლაპი გაჰქონდათ. ერბოსა და ყველის ვაჭარი გახლდათ ვანცალა და მის სავაჭრო საქონელს წლიდან წლამდე დაჰკრია კვალი მის ტანისამოსზედა. სახე მოწითური ჰქონდა. ნაცრის ფერი, მოუსვენარი თვალები ცეცხლუტურასავით უთამაშებდნენ. მოგრძო, წვრილი და ქერა ულვაშები, ბოლოში გაგზეკილი ნიკაპზედ ჩამოჰკიდებოდნენ. [illegible] მეჯრუსხეველი [illegible] ღვინის მეტის მეტი ხმითა ხმა ჩახრინწული ჰქონდა. ერთასი ერთი სიმღერა იცოდა: « დარიას ქარდაჩეზედ გუხი მიუჯდაო » დასჩხავლებდა ხოლმე ყვავისავით თავისი ჩახრინწული ხმითა და თან მაგრად შეიგინებოდა: « იმისი ასე და ისე, ვინც ჩემზედ კარგათა მღეროდეს ან ჩემზედ კარგი ხმა ჰქონდესო » !

მივედით მიტინგზედა. ერთი სოციალ-დემოკრატისტების პროპაგანდისტი კედლის ნანგრევზედ შესკუპებულიყო, აქეთ-იქით ორი შეიარაღებული « ტერორისტი » ( კაცის მკვლელი ) ახლდა. ლაპარაკობს გიჟი, მაგრამ რას ლაპარაკობს! ქანათაა გააჭრეშილი! სულ ჯორის ტლინკებივით აყრის სიტყვებსა! გაათავა და დაუმატა: « ამხანაგებო, სიტყვის თავისუფლებაა და ვისაც სურს ილაპარაკოს, ყველას შეუძლია პასუხი გამცეს ». ხალხი განაბულია. ვინ რა გაიგო, რომ რაზედ გასცეს პასუხი?

« ნება მომეცით მეც რამე მოგახსენოთო » — გაისმა ხმა და ხალხი იგან ალექსა გუთნიდედაშვილი [illegible] ცეპული კაცი გახლდათ ალექსა, [illegible] ულვაშებიანი. არწივის თვალები ჰქონდა [illegible] ადი: ჯარისშნელი გლეხი იყო. [illegible] ავიდა კედელზედა. დაიწყო: « ხალხნო, ამ ყმაწვილმა რა ილაპარაკა, რისთვის ილაპარაკა, გვფიცებით, ვერ გავიგე და ალბათ თქვენც ვერა გაიგეთ რაო. მაინც მადლობას მოვახსენებ ამდენი გახჯისთვისაო და ახლა მე გიამბობთ ერთ ამბავს, ნამდვილსა, გასაგებსა და გულის შემაქცევარსაო », და მოჰყვა:

« ოთარშენს კოშკი იდგა
თამარ მეფის ნაშენები.
კოშკის თავზედ ჯვარი ერჭო
ოქრო ვერცხლით ნამშვენები,
შიგ თამარის ჯარი იდგა
ხალაშქროთა თავმოყრილი.
ხპასალარმა ფიცი დასდო
თავის სისხლით დაწერილი:
« ყანდაარსა ჩაუხტები,
« ხარკს შევაწერ ირანელთა,
« არაბეთსა გადავლახავ,
« ფეხს დავადგამ ინდოეთსა,
« სადაც ქართულ ხმალით შევალ
« ვასახელებ თამარ მზესა !! »
დაჰკრეს ბუკსა და დაგდაფსა
გაიშალა.....»

მაგრამ ამ დროს გაისმა ჭყვიტინი პროპაგანდისტისა: « ძირს ეგ ხალხის მტერი! თავადების მიერაა მაი მოსყიდული! » პროპაგანდისტს კაცის მკვლელებმაც მისცეს ხმა. მათ კიდევ დარეტიანებული ხალხი აჰყვა: « ძირს, ძირს! გაისმა გრიალი. ქადაგი ( პროპაგანდისტი ) კედელზედ შევა და. წამოავლო ხელი ალექსასა და გადაგდება დაუპირა. — რაია, შვილო, რას მერჩი? — ეუბნება ალექსა — მოშორდი აქედგან შე თავადების აგენტო! — უყვირის ქადაგი. — აგენტი რა არის, კაცო? — ეკითხება ალექსა, კედლის ძირში მდგომ, ბრუცა-კაკალაშვილსა. — აბა რა ვიცი რა არის? დედის გინება იქნება! — რათ მაგინებ დედასა აცამანო? — მიუბრუნდა ალექსა ქადაგსა და ყელში წასწვდა. მაგრამ ამ დროს, მოხუც ალექსას, ერთმა კაცის მკვლელმა თავში მაუზერის კონდახი ჩასცხო. ალექსას თავი გაუსკდა, სისხლი წასკდა და კედლიდგან გადმოვარდა. მისცვივდნენ მეზობლები: წამოაყენეს. « წადი ძმაო —ეუბნებიან — თორემ აქ არ გაზეირდები ». წამოდგა საცოდავი მოხუცი. თავ ჩაღუნული, გალანძღული და შერცხვენილი სახლის გზას გაუდგა. ქადაგი კი გაჰკიოდა: « !!.თავადების აგენტი, ხალხის მტერი » და სხვ...

» ხოლომონ, — ჩამჩურჩულა ვანცალამ, თავისი ხრინწიანი ხმითა — გესმის რაებსა როშავს ეს ვიღაც ოხერია? ამ ჰარამზადას ნამდვილად ეშმაკები აწვალებენ ». და ახლა, რომ ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ მართლაც ეშმაკები წვალებდნენ. კოჭლი ეშმაკის მიერ იყო ის უბედური ატაცებული და შთაგონებული.

რაც მეტი დრო გადიოდა მით მეტის ძალით ედებოდა საქართველოს კოჭლი ეშმაკის სული. « ჟამნი მეფოგენ »-ო, ნათქვამია, და ის ბნელი დრო იყო ჟამი ბოროტი სულისა და ბოროტება დაითესა ჩვენს სამშობლოში. კოჭლი ეშმაკის მოციქულები ხელ-ახლა სოფლად დაძრწოდნენ და თესავდნენ ძმათა შორის შუღლსა და მტრობასა; ჰქადაგებდ-

და მათი სული ასე ადვილად ვერ განიკურნება რუსული შხამისაგან. ამიტომ ჩვენ მათ ერთის მხრით უნდა ვებრძოლოთ სასტიკად, რათა მათი გავლენა მოვსპოთ ახალგაზრდობაზედ, და მეორე მხრით სრულებით გავეთიშოთ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზედ, რათა ჩვენს სწორ გეზს ჩირქი არ წაასცხონ.

ჩვენ ეს ბრძოლის გზა მხოლოდ თეორიულად არ მიგვიღია, არამედ ის არის შედეგი იმ მწარე გამოცდილების, როდესაც ჩვენივე თანამემამულენი სასტიკად ილაშქრებდნენ ჩვენს წინააღმდეგ და იცავდნენ მტრებს, რუსებს.

ამგვარად ჩვენ მტრებს ვიცნობთ მტრად და მოყვარეს მოყვრად. და ეს ცნობა არის სასტიკი, რადგან გვწამს, რომ სხვაგვარად ბრძოლა, განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირე ერს, არ შეუძლია. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც აუცილებელია მთავარი მიზნის მისაღწევად და რაც მორალურადაც ყოველთვის მისაღებია. ზოგს ჰგონია, რომ მტრისადმი ჩვენი ასეთი სასტიკი დაპირისპირება, ეწინააღმდეგება ეროვნულ ზნეობას. ამ ხალხს წარმოდგენა არ ჰქონია ჩვენს ეროვნულ ღირებულებათა წარსულზედ და ქართულ ზნეობას ილია მურომელის ადლით ზომავენ. ამ ვაჟბატონებმა არ იციან, რომ ჩვენი ხანგრძლივი ისტორიული არსებობა, ზემოდ აღნიშნულმა გრძნობამ უზრუნველჰყო. ისიც მართალია, რომ ქართველ ერს მტრისადმი ლმობიერების გამოჩენის ტრადიციაც ჰქონია, მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როცა ის მტერს ამარცხებდა და მოპირდაპირე მის წინეშე მუხლს იდრეკდა ხოლმე. გაიხსენეთ, ვეფხის ტყაოსანში რა დიდებულად არის ასახული ჩვენი ეს ტრადიცია. მაშინ, როდესაც ხატაეთის მეფე შეპყრობილი მოჰყავს ტარიელს ინდოეთის მეფესთან!.. და ჩვენც, როდესაც ვეღირსებით ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას, მის დამოუკიდებლად აღორძინებას, როცა ჩვენი ერი და ქვეყანა გაიწმინდება უცხოელთა ზნეობრივ და სულიერ გავლენათაგან, მაშინ, თუ ეროვნული ინტერესი მოითხოვს, ჩვენც შევძლებთ მეგობრობას ყველა იმ მოწინააღმდეგეებთან, რომლების წინააღმდეგაც დღეს მხოლოდ ზიზღს ვქადაგობთ. კერძოდ რუსეთთან კი, ამასთან ერთად არასოდეს არ უნდა დაივიწყოს საქართველომ, რომ

სანამ რუსეთს ის იმპერიალისტური სული აქვს, რაც მას ასაზრდოებს უკვე 2 საუკუნის მანძილზედ, ის მისი მტერი იქნება. ეს უნდა იცოდნენ გადაგვარებულ ქართველებმაც და სანამ ჩვენ მიგვითითებდნენ ეროვნულ ზნეობაზედ და ტრადიციებზედ, მანამ თვით უნდა შეისწავლონ ის.

მტერთა გათვალისწინების გვერდით, მეგობრებიც არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ერის ბედი ბევრნაირად არის გადაჯაჭვული, ჩვენს მეზობელ კავკასიელ ერთა და ხალხთა ბედზედ. ამიტომ არც ერთი წუთით არ გვავიწყდება ამ ხალხთან საერთო თანამშრომლობა საერთო მტრის წინააღმდეგ. მეტიც. ამ მხრივ ქართველი ახალგაზრდობის როლი უფრო დიდი უნდა იყოს. ჩვენს მეზობლებს: აზერბეიჯანელებს, სომხებს და მთიელებს უფრო უბედური პირობები აქვთ. ქართველებს გაცილებით მეტი საშუალებები გვაქვს, როგორც მოქალაქობრივ-კულტურულის ისე სამხედრო სახელმწიფოებრივ დარგებში. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა რაც შეგვიძლია მათაც ხელი შევუწყოთ, განავითარონ ის აუცილებელი ელემენტები, რაც მათ დამოუკიდებლობას უზრუნველჰყოფს.

ჩვენი აზრი არ არის ახალი, ის არის ისტორიული, დამუშავებული მთელი საუკუნეების მანძილზედ კავკასიის ერთა თანამშრომლობის პროცესში. ამ დიდ საქმეს დღეს არამც თუ პოლიტიკურად ვერ ავუხვევთ გვერდს, არამედ ის ჩვენი სულიერი და ზნეობრივი კათეგორიის საკითხიც არის. ალექსანდრეს ბატონიშვილის სულიერ მიმდევართ არ ეკადრებათ შამილის შვილიშვილებისაგან განდგომა: კავკასიის მთის რაინდ ხალხებმაც, ქართველი ერის აღორძინებასთან ერთად უნდა იწყონ თავიანთი მომავლის გამოჭედვა. და ჩვენი მათთან თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებელი იქმნება. თუ ეს რა სახის იქმნება, ძნელია დღეს ამაზედ ლაპარაკი. ე. ი. იმაზედ, რაც აუცილებლად შეიძლება მოხდეს. ხოლო დღეს რომ გვგონია, ამაზედ ტომების დაწერა შეიძლება. და ჩვენი ცნობის მოყვარე საზოგადოებაც ამაზედ უკვე „ პაქტებსაც " აღგენს და კონსტიტუციებსაც სწერს აქ, პირიზში. ეს ვარჯიშობა შეიძლება მავნებელი არ იყოს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ დღეს ძნელია გათვალისწინება იმ შინაგან და გარეშე ვითარებათა, რომელთა

რკალშიც აღმოჩნდებიან კავკასიის ერები განთავისუფლების მეორე დღეს და რომელთა მიმართულების ჯამიც იქნება განმსაზღვრელი ალბად ჩვენ შინაგან დამოუკიდებლობათა. ასე ყოფილა ისტორიულად და ასე მოხდება ახლაც. მეორე მხრით, სანამ ცალკე სახელმწიფოთა დამოკიდებელი ცხოვრებისა პირობები, ე. ი. უკვე შექმნილი პროცესი დამოუკიდებელი ცხოვრებისა გარკვეული და შესწავლილი არ იქმნება, მანამ შეუძლებელია სამხედრო საერთო თანამშრომლობის ფორმების გამონახვა. უფრო სასაცილო ის არის, რომ ასეთ რთულ საკითხებზედ მსჯელობს ის ხალხი, რომელთათვისაც სრულებით უცნობია კავკასიის ერთა ისტორია, ეთნოგრაფია, ზნეჩვეულება, საზოგადოებრივ-მოქალაქობრივი ურთიერთობა და სხვა. რომ მარტო იურისპრუდენცია და დოქტორის ხარისხები საკმარისი იყოს იმისთვის, რომ ერთი ერის ბედი გადააჯაჭვო მეორე ერის ბედს და გახადო მისი ცხოვრების ჭირვეული თანამგზავრი, მაშინ მთელი ქვეყნის იურისტებს ქვეყნაზედ სამოთხე უნდა დაემყარებინათ!

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: თუ კი ვისმეს მოუსურვებია აქამდის კავკასიის ერთა თანამშრომლობის საქმის მოგვარება, ჩვენ ყველაზედ ახლო თანამშრომლობის მომხრე ვართ, მხოლოდ დღეს კი საჭიროა შემდეგი: რომ თითოეული ცალ-ცალკე დადგენ დამოუკიდებლობის პრინციპის ნიადაგზედ ურყევად და თანამშრომლობის პირველი საფეხური უნდა განხორციელდეს განთავისუფლებელი ბრძოლის ნიადაგზედ. რადგან ჩვენა გვწამს, როგორც ჩვენი ერისთვის, ისე იმავე კავკასიის ერთა კეთილდღეობისათვის ამის აუცილებლობა, ამიტომ ჩვენ ერთერთ მიზნად ვისახავთ კავასიის ხალხებშიც ხელი შევუწყოთ დამოუკიდებლობის პრინციპის გამტკიცებას და ეროვნული გრძნობის აღორძინებას.

ვინაითგან ჩვენა გვწამს, რომ ერის, სამშობლოს საკითხს ღრმა კავშირი აქვთ ჩვენს გრძნობათა და სულიერ ქვეყანასთან, ამიტომ მშრალი გონების გადაწყვეტილება ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ასეთი აქტი ერთხელაც მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო 1918 წელს, როდესაც ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა, თვით დამოუკიდებლობის მტრებმა, მენშევიკებმაც, იმუ-